# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 4 აპრილი, 2013 წელი.

№62 (7189)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ასლან აბაშიძე მოსკოვიდან დაბრუნდა და ახალ მოძრაობას ქმნის



3

## დაიმალეთ, დემოკრატია მოდის!

6



## ნაციონალები ატომური ნარჩენებივით სარკოფაგებში უნდა შეინახო“

4



## რისთვის ირჯება ხელისუფლება?

5

## რატომ ვასხვისებთ ქართულ მიწა-წყალს?

9



## საქართველო რუსეთელებისთვის ციხეს აუქმებს

8



## სომხები იშხანსა და ოშკს ითვისებენ...

## „შეჭმული“ 61 ჰექტარი...

7


PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**თემიდა**

# სასამართლოებში პროცესები უმჯობესდება

## არასამთავრობო ორგანიზაციები მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებენ

**„დიდი შანსი აქვს ქვეყანას, ჰქონდეს დამოუკიდებელი სასამართლო," — ასეთი დამაჯერებელი განცხადება გააკეთა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ პრეზენტაციაზე, რომელიც ბოლო დროს სასამართლოების მუშაობის დაკვირვების შედეგების შესახებ გაიმართა. შეხვედრას მოქმედი მოსამართლეებიც ესწრებოდნენ, ასევე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები და არასამთავრობოები. სასამართლოებში მუშაობის პროცესი რომ უმჯობესდება, ეს თავად მოსამართლეებმაც დაადასტურეს, თუმცა, მათი მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ადრინდელ დროს შეეხებოდა, გადაჭარბებულად მიიჩნიეს.**

უფრო კონკრეტულად, ორიოდე დღის წინათ **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“** სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. მონიტორინგი განხორციელდა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების სასამართლო სხდომებზეც, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში ძირითადად პარტიების დაფინანსების კანონმდებლობის დარღვევას ეხებოდა. კვლევა მოიცავდა პერიოდს 2012 წლის 1 ივნისიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით. როგორც ორგანიზაციაში აღნიშნავენ, განხორციელებულმა მონიტორინგმა გარკვეული პროცედურული გაუმჯობესებები აჩვენა, კერძოდ: **სასამართლოს პროცესები ძირითადად დაუგვიანებლად იწყებოდა, მოსამართლეებს გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში გამოჰქონდათ და მოსამართლეები სხდომის დაწყებამდე დავის მხარეებს მათი უფლებების შესახებ უფრო ამომწურავ ინფორმაციის აწვდიდნენ.** ამის მიუხედავად, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მნიშვნელოვანი პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა. კერძოდ, მონიტორინგმა ასევე დაადგინა, რომ **მოსამართლეთა დამოკიდებულება და ქცევა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების მიმართ, ისევე როგორც ამ საქმეებში წარმოდგენილი მხარეების მიმართ, კარდინალურად განსხვავდებოდა რიგითი ადმინისტრაციული საქმეების განხილვისგან.** კერძოდ, მაღალი საჯარო ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ საქმეებში, რომლებიც 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე დაიწყო, შემდეგი ხარვეზები გამოიკვეთა: სასამართლო მკვეთრი მიკერძოებულობით გამოირჩეოდა, მაშინ, როდესაც პროცესზე მხარედ მმართველი გუნდის პოლიტიკური ოპონენტები გამოდიოდნენ. სასამართლო ზღუდავდა მოქალაქეების უფლებას, თავისუფლად დასწრებოდნენ სხდომებს, რადგანაც არ აქვეყნებდა ამ სხდომების განრიგებს და ირჩევდა საქმისთვის შეუსაბამოდ მცირე ზომის სასამართლო დარბაზებს. სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალი უარს აცხადებდა, გაეცა ინფორმაცია განუსაზღვრელი დროით გადადებული სხდომების თარიღისა და დროის შესახებ, სასამართლომ განგებ არ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება დროულად მაშინ, როდესაც, დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ქონდა. მმართველი გუნდის პოლიტიკური ოპონენტების საქმეში მხარედ არსებობის შემთხვევაში, სასამართლო არ აძლევდა წარმოდგენილ მხარეებს თანაბარ შესაძლებლობას ზედმიწევნით შეესწავლათ საქმის მასალები. მოსამართლეთა მიერ ინკვიზიციურ უფლებამოსილების იშვიათად გამოყენების დროსაც კი ისინი აშკარად სახელმწიფო მხარეს აყენებდნენ უპირატეს მდგომარეობაში. ადმინისტრაციულ საქმეებში სახელმწიფო მხარის წარმატების მაჩვენებელი იმდენად მაღალია, რომ, როგორც წესი, ბადებს ეჭვს სასამართლოს არაობიექტურობაზე.

ანგარიშს საფუძვლად დაედო **თბილისის, ბათუმის, ხელვაჩაურის, გორისა და თელავის** პირველი ინსტანციის სასამართლოებში 142 საქმეზე ჩატარებული 282 სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგები.

როგორც უფლებადამცველი **თინათინ ავალიანი** აცხადებს, **„კერძო პირთა სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმეების პროცენტული მაჩვენებლის უმნიშვნელო ზრდის მიუხედავად, ადმინისტრაციულ დავებში სახელმწიფოს წარმატების მაჩვენებელი კვლავ მაღალია, რაც ბადებს კითხვებსა და ეჭვებს სასამართლოს არაობიექტურობაზე. როგორც წესი, მოსამართლეები განასხვავებდნენ რუტინულ და მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებს. მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების შემთხვევებში ისინი უპირატეს მდგომარეობაში სახელმწიფოს აყენებდნენ. ამასთანავე, მოსამართლეების თუ სასამართლოს ადმინისტრაციის მხრიდან ილახებოდა საქმეთა საჯაროდ განხილვის უფლება. ზოგ შემთხვევაში მოსამართლეები მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების განხილვის პერიოდს ზედმეტად ახანგრძლივებდნენ, ამასთანავე, ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებს არ აძლევდნენ საკმარის დროს სხდომისთვის მოსამზადებლად,“** — ამბობს ის. ერთ შემთხვევაში მოსამართლემ უფლება მისცა სახელმწიფო მხარის წარმომადგენელს, ადმინისტრაციული ორგანოს სახელით შუამდგომლობა შესაბამისი მინდობილობის გარეშე დაეყენებინა. როგორც წესი, სასამართლოები ვერ უზრუნველყოფდნენ მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეთა სხდომების განრიგის გამოქვეყნებას; ამასთანავე, აღნიშნული სხდომები შეუსაბამოდ მცირე ზომის დარბაზებში იმართებოდა. გარდა ამისა, სასამართლოს პერსონალი უარს აცხადებდა იმ სხდომების თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე, რომლებიც განუსაზღვრელი ვადით იყო გადადებული. მოსამართლეები იშვიათად იყენებდნენ ინკვიზიციურობის პრინციპს იმისთვის, რომ დახმარებოდნენ მხარეებს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ან/და ხელი შეეწყოთ საქმის დეტალების სრული გამოკვლევისთვის. თუმცა, იყო ფაქტებიც, როდესაც მოსამართლეებმა რამდენიმე შემთხვევაში ინიციატივა გამოიჩინეს.

ამ კვლევის შედეგების პარალელურად საიამაც წარმოადგინა ანგარიში, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებს შეეხებოდა, სადაც აღნიშნულია, რომ სასამართლო მხოლოდ ორი სახის აღკვეთის ღონისძიებებს იყენებდა. ეს იყო: გირაო ან პატიმრობა. მხოლოდ ორჯერ გამოიყენა მოსამართლემ თავდებობა. ხშირ შემთხვევაში მოსამართლის გამოტანილი გადაწყვეტილება პატიმრობის შესახებ დაუსაბუთებელი იყო. განსაკუთრებით საინტერესოა გირაოს შეფარდების საკითხი, როცა ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა და წარდგენილი ბრალეულობა არაპროპორციული იყო. მაგალითად, ორ შემთხვევაში ბრალდებული ირიცხებოდა სოციალურად დაუცველთა ბაზაში, თუმცა, ერთს 35 000, ხოლო მეორეს — 5000 ლარის გადახდა შეუფარდეს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქმეების 89 პროცენტზე მეტი დავა სრულად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს სასარგებლოდ დასრულდა. წინა მონიტორინგის შედეგებთან შედარებით, რომელიც 92 პროცენტს შეადგენდა, ეს მაჩვენებელი შემცირებულია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მიერ საქმეების მოგებით დასრულების მეტად მაღალი მაჩვენებელი გადაწყვეტილებების გამოტანისას სასამართლოს შესაძლო მიკერძოებულობაზე მიუთითებს.

ნაციონალ **თინათინ ბოკუჩავას** პრეტენზია აქვს თვითონ კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, **„რატომ არ დაინტერესდით სისხლის სამართლის საქმეებით: გუნავას, ახალაიას საქმეების გამოძიებით, სადაც ბევრი პროცესუალური დარღვევაა?“** — მიუთითა მან მონიტორებს. მოსამართლე **ნინო ყანჩაველიც** მიიჩნევს, რომ სასამართლო პროცესზე მონიტორების ზედაპირული დაკვირვება და დასწრება რეალურ სურათს ვერ შექმნის, რადგან მოსამართლე სასამართლომდე იყენებს ისეთ პროცესებს, რომელიც მონიტორისთვის შეუმჩნეველია. უფლებადამცველები არ უარყოფენ, რომ მეთოდოლოგიაში შესაძლოა იყოს შეცდომები, თუმცა, ის, რაც ხელისგულზე დევს, ადვილი შესამჩნევია... თუნდაც ბიძინა ივანიშვილის საქმე, როდესაც მოსამართლემ მას 160 მილიონის ჯარიმის გადახდა მოსთხოვა. ასეთი ოდენობის თანხის მოთხოვნა ჯარიმის სახით, არათუ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც კი უპრეცედენტოა, — ამბობენ ისინი.



მონიტორებისთვის შესამჩნევი გახდა ისიც, რომ არც ადვოკატები ემზადებიან პროცესისთვის ჯეროვნად და მათი ზერელე დამოკიდებულება მოსამართლეს კიდევ უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს. ასეთი ადვოკატი მართლმსაჯულებასაც უქმნის პრობლემებს და კლიენტსაც აზარალებს. მონიტორინგი კიდევ 22 თვეს გაგრძელდება და უფრო თვალნათელი გახდება სასამართლო პროცესები. საიას თავმჯდომარე ამბობს, — **„კვლევის მიზანი არის არა კრიტიკა, არამედ ის, რომ ჩვენ წარმოვაჩინეთ პრობლემები. სასიამოვნოა, რომ ტენდენცია უკეთესობისკენ მიდის. იმის მიუხედავად, რა ტიპის საქმე არ უნდა იყოს ეს, მოსამართლე უნდა აღმოჩნდეს მოწოდების სიმაღლეზე, გაუძლოს წნეხს და იმოქმედოს შინაგანი სიმართლით. ჩვენ ყოველთვის დავდგებით ასეთი მოსამართლეების გვერდით,“** — აღნიშნავს ის.

**თეა მოსია**

**ხალხის აზრი ფეისბუქიდან**

# წერტილოვანი ფრაზები

● აბსოლუტურად გულწრფელად ვსვამ შეკითხვას და გთხოვთ, ვისაც შეგიძლიათ, ლანძღვა-გინების გარეშე გამცეთ პასუხი: რას აკეთებს და ვის ინტერესებს ემსახურება დღეს ეროვნული უშიშროების საბჭო? დიდი ხანია არაფერი მსმენია ამ სამსახურის შესახებ, რომელსაც, რამდენადაც ვიცი, უზარმაზარი დაფინანსება აქვს. ვინ არიან ამ საბჭოს წევრები? რა შედის მათ ფუნქციებში?

● ახლა ისეთი რამ უნდა ვთქვა, გაგიკვირდებათ:

რა საია, რის სამაია, ირაკლი ღარიბაშვილს ებრძვის აი, ის, ღარიბაშვილმა არჩევნების წინ ნიავ-ქალა თუ ოქრო-ქალა რომ უწოდა — გვარი დამავიწყდა...

● უნდა დამთავრდეს ქართულ პოლიტიკაში ბიძინას ხათრით რაიმეს კეთება!




ბიძინას ხათრით უსუსურ მეოცნებე პოლიტიკოსებზე ხელის დაფარება უნდა შეწყდეს!

ბიძინამ ხალხისთვის არაპოპულარული პოლიტიკოსები და პარტიები დაიყენა გვერდზე!

მეოცნებეები კოჰაბიტაციის გარეშე უფრო დიდ სირობებს ჩაიდენდნენ ხალხისა და ქვეყნის წინაშე!

ეგენი კოჰაბიტაციის გარეშედაც თვითონვე არიან უსუსურნი! პოლიტიკოსი კი არ უნდა გიყვარდეს, არამედ უნდა გჭირდებიოდეს, ასე რომ მე ბიძინას ხათრით უსუსურ და ხალხის მოღალატე მეოცნებე პოლიტიკოსებს ხელს ნამდვილად აღარ დავაფარებ!

● სანამ ოპოზიციაში იყვნენ, მიკაკუნებდნენ კი არა, კარებს მინგრევდნენ, რაც დეპუტატები გახდნენ, თავის კართან მიშვებენ კი არა, მობილურებზეც არ მპასუხობენ!

— ეგ ადამიანებზეა ნათქვამი და პოლიტიკოსებზე, სანამ ოპოზიციაში არიან, არჩევის მერე ხომ ეგენი ადამიანობას კარგავენ. დაელოდე, როცა ჩამოალაბორანტებენ, მერე კარი სულ ღია ექნებათ და როცა გინდა მიხვალ.

— მერე? მერე რაღა ჩემს....მინდა მაგენი!

● გოგოლის „შინელის“ შემდეგ სპეცტანსაცმელს ასე არავინ გამოსარჩლებია.

● „საია“ პროკურატურაში განცხადებას შეიტანსო, წავიკითხე... კი მარა საია, საქმე გამოგელია? ცოტა ზედმეტი ხომ არ მოგდის? თელიას საერთოდ არ ვიცნობ, მაგრამ, ისე ნუ გააკეთებ, რომ მისგან თავად შექმნა დაჩაგრული კრავი...

ნუ გვაფიქრებინებ, რომ ძველ ხელისუფლებასთან „კონსპირატიულ“ შეხვედრებზე კოჟორიძე მართლაც სათანადოდ „დაქოქეს“.... ცოტა საიას უზრდელ თანამშრომლებსაც მიხედე, უკვე თავზე გაუვიდათ... ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ თელიას „ქეისი“ უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი იყო...

● ადრე ასე იყო:ქურდისთვის ხელის გარტყმა არ შეიძლებოდა. ახლა საიასთვის არ შეიძლება.

● ჩემო იმანო: არაფერი არ სძულდებათ ისე, როგორც იმედის გამცრუებელი...

აბა თუ მიხვდები, სააკაშვილი ედიკაზე მეტად რატომ გახდა საძულველი? აბა მერე იმას თუ მიხვდები, რიგში ვინაა შემდეგი?

● არ შეიძლება ვაზელინის ურეცეპტოდ გაყიდვა იმ ქვეყანაში, სადაც ერის უმრავლესობა ვაზელინმიდრეკილია!

**თიკო თვალაძე**

**ინფორმაცია**

# ბიუჯეტის შესრულების პრობლემა არ არსებობს

**2013 წლის პირველი კვარტალის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 63,5 მლნ ლარით გადააჭარბა, — ამის შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა. მისივე თქმით, საგადასახადო შემოსავლების კუთხით ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების ტენდენცია გრძელდება.**



**როგორც მინისტრმა აღნიშნა, 2013 წლის მარტში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების კუთხით მობილიზებულია 745.5 მლნ ლარი, რაც 2012 წლის მარტის მონაცემებს 41.5 მლნ ლარით აღემატება.**

**საგადასახადო შემოსავლების კუთხით ზრდა იანვარსა და თებერვალშიც დაფიქსირდა.**

**დადებითი ტენდენცია შენარჩუნებულია საკონტროლო-სალარო აპარატებით გამოწერილი ჩეკების რაოდენობისა და ამ კუთხით ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მიმართულებით.**

**მინისტრის ინფორმაციით, ბიუჯეტის შესრულებისა და მაკროეკონომიკური პარამეტრების პოზიტიური მაჩვენებლები ადასტურებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური გარემო გაუმჯობესებულია.**

**— გაზრდილია ბიზნესაქტივობა, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვა. პირველი კვარტალის მონაცემები მიუთითებს, რომ 2013 წლის ბიუჯეტის შესრულებას არანაირი პრობლემა არ შეექმნება და მთავრობა აღებულ ვალდებულებებს შეასრულებს, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## მივხედოთ აჭარას!

**დიახ, ასლან აბაშიძე მოსკოვიდან დაბრუნდა, ოღონდ მკითხველი დასაწყისშივე მინდა გავაფრთხილო, რომ საუბარი იქნება ასლან აბაშიძე-უმცროსზე და არა იმ ასლან აბაშიძეზე, ქვეყანა რომ შეძრა. ასლან-უმცროსი ასე უწოდებდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის დროს მის მრჩეველსა და მასთან დაახლოებულ ცნობილ იურისტს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, ექსპერტს, წარმოშობით ქედელ, ამჟამად მოსკოვში მოღვაწე ასლან აბაშიძეს.**

ეს ასლან აბაშიძე თავის დროზე, „აღორძინების" ზეობის დროს, იმ ასლან აბაშიძის კარზე ფრიად მიღებული პერსონა იყო. იგი, როგორც ცნობილი იურისტი, მაშინ სპეციალურად მოიწვიეს მოსკოვიდან აჭარაში და კარგა ხანს მოღვაწეობდა მაშინდელი ხელისუფლების კარზე. აჭარის 2004 წლის რევოლუციის შემდეგ იგი აჭარაში აღარ გამოჩენილა. ახლა გამოჩნდა და მისი გამოჩენა საზოგადოებასთან შეხვედრით აღნიშნა. მან განაცხადა, რომ აპირებს, შექმნას სახალხო მოძრაობა **„ღირსეული აჭარა ბიძინა ივანიშვილთან ერთად"**.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა, ასლან აბაშიძემ უპასუხა: **ის რაც ხდება საერთო სპექტრში, უკვე არ ამართლებს ხალხის მოლოდინს, ადამიანები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ ცვლილებებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩნენ გაწბილებულნი.** ამიტომ, ჩვენ ვთვლით, რომ უნდა შეიცვალოს სიტუაცია, რათა ისევ ის ეშმაკები არ მოგვევლინონ დღევანდელი პოლიტიკის იდეოლოგებად, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩაბარებულან წარსულს, უფრო მეტიც, ისევ აგრძელებენ ქვეყნის მართვას. მათ მოიხსნეს ყველა ვალდებულება და მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ისინი მოიგებენ, რადგან დროის ფაქტორი თავისას აკეთებს, ხალხი განაწყენებულია, რომ შეპირებები არ სრულდება და მათ შანსი აქვთ, ისევ მოვიდნენ და თუ მოვიდნენ, საერთოდ, ეს არის წაგება ბრძოლისა. ამიტომ ჩავთვალეთ, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ ეს მოძრაობა, რათა ბატონ ბიძინას დავუჭიროთ მხარი და შემდგომში შეგვიძლია კორექტირება გავაკეთოთ, მაგრამ ახლა დრო არ გვაქვს ლოდინის, სანამ ეს ადამიანები თვითონ დაგვიძახებენ, მანამდე ჩვენ უნდა დავიწყოთ ეს პროცესი.

**რატომ გამოჩნდა ახლა მოსკოვში მორჭმით მცხოვრები, წარმატებული იურისტი ბათუმში, ამაზე ბევრს ჭორაობენ. რომელი ვერსიაა მართალი, ამას დრო გამოაჩენს.**

აჭარაში ფრიად საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საზოგადოებაში არსებულ იმედებს იმედგაცრუება ცვლის. ამის უპირველესი მიზეზი აჭარის ხელისუფლების საკადრო პოლიტიკაა. **მურმან დუმბაძის, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და სხვა მაღალჩინოსნების მისამართით გამუდმებით ისმის საზოგადოების პროტესტი.** განსაკუთრებით თვალშისაცემია ის ნეპოტიზმი, რომელიც აჭარაში გამეფდა. ხალხი აპროტესტებს თანამდებობებზე გამოუცდელი, საზოგადოებისათვის უცნობი, ხშირ შემთხვევაში, მიუღებელი კადრების დანიშვნას, რასაც ის მოჰყვა, რომ ახალი ხელისუფლების მიერ დანიშნული რამდენიმე მაღალჩინოსანი ორი-სამ თვეში უმძიმესი დანაშაულის ჩადენისთვის, ქრთამის აღებისა და სხვა დარღვევებისთვის დააპატიმრეს. ხოლო ერთმა, აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა გიორგი თავართქილაძემ, დანიშვნიდან სამ თვეში ისე დატოვა თანამდებობა, საზოგადოებამ ვერც გაარკვია, საკუთარი სურვილით წავიდა თუ — მთავრობის თავმჯდომარესთან წარმოშობილი უთანხმოების გამო. ხაბაძეც და გიორგი თავართქილაძეც უმაღლეს სახელმწიფო პოსტებზე ფინანსური სტრუქტურებიდან მოვიდნენ. აქამდე ისინი ბათუმში არსებული სხვადასხვა სათავო ბანკების ფილიალების ხელმძღვანელები იყვნენ. რატომ ვერ ჩაეტია ორი ხანჯალი ერთ ქარქაშში, ამაზე ახლა აჭარაში ბევრს საუბრობენ. ორთავე მურმან დუმბაძის პროტეჟე იყო. ერთ-ერთ გამოსვლაში პარლამენტის ვიცე-სპიკერმა განაცხადა, გიორგი თავართქილაძეს დიდხანს ვთხოვდი, ბანკი დაეტოვებინა და მინისტრობაზე დამთანხმებოდა, როგორც იქნა დავიყოლიეო. აჭარის სახელისუფლებო ელიტასთან დაახლოებული ადამიანები იმასაც ამბობენ, რომ მურმან დუმბაძე იმასაც ნანობს, არჩილ ხაბაძე აჭარის მთავრობის თავმჯდოამრედ რომ დანიშნა, რადგან ეს ახალგაზრდა კაცი ისე ადვილი სამართავი არ აღმოჩნდა, როგორც ვიცე-სპიკერს სურსო.

აჭარაში მოსახლეობის უკმაყოფილება ახალი ხელისუფლების მიმართ აშკარად იზრდება. ამაზე სწორედ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ **ბათუმში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიქმნა სამი არასამთავრობო მოძრაობა, რომელთაც ერთი მიზანი აქვთ — მხარი დაუჭირონ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს და იბრძოლონ იმ პროცესების წინააღმდეგ, რომელთა მიმდინარეობა აშკარად ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების" მიერ დეკლარირებულ პროგრამას.** ეს კი, უპირველესად, საკადრო პოლიტიკაში არსებულ ნეპოტიპმს, ახალი კადრების კომპენტენციასა და მათ მიმართ საზოგადოებაში არსებულ აგრესიაში გამოიხატება.

პირველი საზოგადოებრივი მოძრაობა, რო-



**ასლან აბაშიძე მოსკოვიდან დაბრუნდა და ახალ მოძრაობას ქმნის**

მელიც ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად თებერვლის დასაწყისში დაფუძნდა, იყო **„ბათუმელთა სათათბირო".** მისი შექმნის ინიციატორად მოგვევლინა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი აკაკი ცივაძე. იგი თავის დროზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში, შემდგომ კი ამავე სასწავლებლის თბილისის სათავო ოფისში მუშაობდა. მას ბათუმში კარგად იცნობენ. სათათბიროს თერთმეტი დამფუძნებელი ჰყავს. ძირითადად უნივერსიტეტის პროფესორები, იურისტები, ჟურნალისტები, საზოგადოებრიობის ღირსეული წარმომადგენლები. როგორც ბატონმა აკაკი ცივაძემ „საქართველოს რესპუბლიკას" განუცხადა თავად იმედგაცრუებულია იმ პრეცესების გამო, რაც აჭარაში მიმდინარეობს. „რაც „ქართული ოცნება" შეიქმნა, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ვარ. ძალა და ენერგია არ დამიშურებია, რომ ამ ახალ პოლიტიკურ ძალას გაემარჯვა არჩევნებში. მადლობა ღმერთს, რომ ეს ასე მოხდა. მაგრამ, როგორც ხშირადაა, პოლიტიკური ცვლილებებით ის ადამიანები სარგებლობენ, რომლებსაც საზოგადოებაში მაღალი რეიტინგი არ გააჩნიათ. ჩვენი მოძრაობა არავის წინააღმდეგ არაა მიმართული. „ბათუმის სათათბირო" ამ ქალაქის და მისი მცხოვრებლების ინტერესების სადარაჯოზე იქნება და არც ერთ ჩინოვნიკს უფლებას არ მისცემს ჩვენი მოქალაქეების ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. **„ჩვენ „ქართული ოცნებისა" და ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები ვართ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოალიციაში შემავალი ყველა სუბიექტის იდეოლოგიას ვიზიარებდეთ. პირიქით, ზოგი მათგანის წინააღმდეგ მოგვიწევს წასვლა!"**

მეორე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აჭარაში ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად დაფუძნდა, გახლავთ **„ქართული ოცნება სამართლიანობისათვის — აჭარაში".** იგი 28 მარტს შეიქმნა. მისი დამფუძნებლებიც აჭარაში ცნობილი ადამიანები არიან. ამ საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნის იდეა ეკუთვნის „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულოს" ხელმძღვანელს, მწერალს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, რუსეთის ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრს ნიაზ ბოლქვაძეს. იგი კარგა ხანს მოღვაწეობდა რუსეთში. ხელმძღვანელობდა ქალაქ უფაში არსებულ ქართველთა სათვისტომოს, საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდგომ დაბრუნდა, მაგრამ წინა ხელისუფლებამ მისი იმედები ვერ გაამართლა, ამიტომაც არის „ქართული ოცნებისა" და ყველაფერი ეროვნულის მხარდამჭერი. ნიაზ ბოლქვაძე „საქართველოს რესპუბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს:

— სააკაშვილის ხელისუფლება ცხრა წლის მანძილზე ეწეოდა უზნეობისა და გარყვნილობის პროპაგანდას პრინციპით: წვეთი ქვას ხვრეტს, ძალით კი არა, ნელი და გამუდმებული დაცემით. და ამ გზით ებრძოდა ყველაფერ ქართულს, მათ შორის, ღვაწლმოსილ წინაპართა სახელებსაც, ვინც ხმლითა და კალმით, სისხლითა და ოფლით, ვაჟკაცობითა და გონებით შექმნა საქართველოს ისტორია. ებრძოდა ქართველი კაცის თვითმყოფადობას, ღირსებას, რადგანაც კარგად იცოდა, რომ ღირსებადაკარგული კაცი ადვილად ყიდის ყველას და ყველაფერს. წაიბილწა ენა, გაიყიდა ქართული მიწა-მამულები, საფრთხე დაემუქრა სარწმუნოებას, საქართველო უცხოელებისათვის საეჭვო გართობის და გარყვნილების ცენტრად, სავაჭრო ბიზნესობიექტად გადაიქცა. ქართვლის დედის სიმბოლომ დაკარგა თავისი მთავარი ფუნქცია — დღეს მტერსაც და მოყვარესაც მხოლოდ ღვინის თასით ეგებება, მისი შვილები კი ნებისმიერ ფასად ცდილობენ უცხოეთში გახიზნვას საკუთარი თავისა თუ ოჯახის გადასარჩენად. ქვეყანას უცხოელები დაეპატრონნენ, ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა მათ მონა-მსახურად გადაიქცა. შედეგად მივიღეთ ის, რომ წესიერება და პატიოსნება — გასაკვირი გამხდარა, საამაყო ადათ-წესები კი წარსულის გადმონაშთად ითვლება... 2400 წლის წინათ ბერძენი ფილოსოფოსის დიოგენეს მიერ წარმოთქმულ ფრაზას — „ვეძებ ადამიანს" — დღეს მეტი აქტუალობა შეუძენია. ქართველი ხალხის დიდი ნაწილის გონება ავხორცობას წაულეკავს, რომლისგან გათავისუფლება უკვე დიდად საძნელო საქმეა... სხვა შემთხვევაში, დაგვერწმუნებით, რეჟიმი ასე ვერ იბატონებდა. ულირსობისგან, უზნეობისგან, ავხორცობისაგან გაწმენდა, „აზროვნების ეკოლოგიისათვის" ზრუნვა უნდა გახდეს ახალი ხელისუფლების მთავარი საზრუნავი, რომელშიც უდიდესი როლი ჩვენს საზოგადოებას, მეტადრე, მოწინავე ინტელიგენციას ეკუთვნის.

**— ბატონო ნიაზ, თქვენ აღნიშნეთ, რომ დღეს აჭარაში გამეფებული საკადრო პოლიტიკა ეწინააღმდეგება ბიძინა ივანიშვილის ჩანაფიქრს. რას გულისხმობთ?**

— დღეს, აჭარის რეალობაში, ძირითადად, იმ ადამიანების დაწინაურება ხდება, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს თავს კარგად გრძნობდნენ და მის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. უფრო მეტიც — ისინი ზნეობრივ კატეგორიებზე ურცხვად გვესაუბრებიან და გვმოძღვრავენ, შეურაცხყოფას აყენებენ და არაფრად აგდებენ რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ერის გულშემატკივარ მამულიშვილებს... როგორც ჩანს, მათ ვერ აითვისეს ცხოვრების მნიშვნელოვანი გაკვეთილი — არ შეიძლება, ღირსებისათვის მებრძოლ ადამიანებს უღირსად მოექცე... ასეთი უსამართლო საქციელის სურვილიც კი უკვე დიდ უმადურობასა და ზნეობის დეფიციტზე მიუთითებს, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენში ვხვდებით.

იხ. 4 გვ.

## ბლიც ინტერვიუ

# გჯეროდეთ იმათი, ვისაც ხმა მიეცით!

### ასე მიმართავს ხალხს პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი



**მაგრად იდექით, ჩემო კარგებო, და გჯეროდეთ იმათი, ვისაც ხმა მიეცით 1 ოქტომბერს.**

დიდი ხანია, ვიცნობ **ირაკლი ალასანიას**, მამამისსაც ვიცნობდი, სამშობლოსთვის თავშეწირულ კაცს. ირაკლის შეეძლო და ელაპარაკებოდა კიდეც აფხაზებს. ერთხელ ვთხოვე, დაესახელებინა პოლიტიკოსი, რომელსაც აფხაზებისთვის უთქვამს: **დარჩებით საქართველოში, აფხაზები იქნებით, წახვალთ საქართველოდან, აფხაზობას დაკარგავთ!**

რა საოცარი რაღაც მითხარიო, ძია ჯანსუღ! შეიძლება, სიტყვასიტყვით არა, მაგრამ მსგავსი ხშირად მითქვამსო. ირაკლი აფხაზებთან ურთიერთობას ნამდვილად მოაწესრიგებდა, თავის დროზე ამ საქმისთვის რომ არ ჩამოეცილებინათ.

**მე ირაკლის იმედი მაქვს.**

ორიოდ წლის წინათ გავიცანი **თეა წულუკიანი**. აუ, ეს რა გოგოა! როგორი ნათელი პიროვნებაა. როგორი მორიდებული, უბრალო, ამ კდემამოსილების იქით კი დაფარული მისი სუპერპროფესიონალიზმი და ჭეშმარიტი ქართველობა! ვერაფერი რომ ვერ მოუნახეს, მამის გამო დაუწყეს ბრძოლა, კაცო! როცა მამაც ისეთივე წესიერი და კაცური კაცი იყო, მოსამართლედ რომ მუშაობდა.

არსებობს ქვეყანაზე **ეკა ბესელია**. ერთხელ, კარგა ხნის წინათ, ვუთხარი ეკას: ჩემო ეკა ბესელია, შენგან კიდევ ბევრს ელიან.

**მანანა კობახიძე,** ვიცე-სპიკერი პარლამენტში, შესანიშნავი პიროვნება.

აი, ასეთი გამოკვეთილი ადამიანების იმედი მაქვს.

არსებობს **თინა ხიდაშელი**!

შეიძლება ახლა ესენი მე ჩიორას შევადარო?!

**— აბა, კოაბიტაცია?**

— კოაბიტაცია იცი, რას ჰგავს? აი, ხალხს რომ ზუსტად განუსჯია, ისეთი ვითარების დამკვიდრების სურვილს: **ქვა დაუბამთ და ძაღლი აუშვიათო.**

**არმაზ სანებლიძე**

## ინფორმაცია

### მართლა დენმა მოკლა თუ სააკაშვილის ზონდერებმა?

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრის დავით ლორთქიფანიძის განცხადებით, პირადად ნახა 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირის ერთ-ერთი შენობის სახურავზე აღმოჩენილი სულიკო ასათიანის „გაუბედურებული სხეული".**

**— რამდენიმე დღის წინათ მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია „იმედის" ეთერში განცხადება გააკეთა 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სულიკო ასათიანი და ნიკა კვინტრაძე სახურავზე აღმოაჩინეს და რომ ეს იყო უბედური შემთხვევა. მინდა სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის" გასაგონად განვაცხადო — მე პირადად გახლდით ბატონი სულიკოს დაკრძალვაზე და ჩემი თვალით ვნახე მისი გაუბედურებული სხეული, რომელსაც აშკარად შეენიშნებოდა წამების ნიშნები, მას თვალი ჰქონდა ჩაგდებული, ყელი და ხორხი გამოგდებული, მთლიანად სხეული, როგორც ოჯახის წევრები მეუბნებიან, იყო ე.წ. ზილიონკით დამალული, რომ წამების კვალი გამქრალიყო, — განაცხადა ლორთქიფანიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.**

**ამასთან, მან მთავარ პროკურატურას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების დაჩქარებისკენ მოუწოდა, რადგან, დეპუტატის განმარტებით, გარდაცვლილის ოჯახზე ზეწოლა ხორციელდება. დეპუტატის თქმით, ოჯახი სიმართლის დასადგენად გვამის ექსგუმაციისთვისაც მზადაა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პოზიცია

# ნაციონალები აბტომური ნარჩენებივით სარკოფაგებში უნდა შეინახო

**For.ge-ს პრეს-კლუბში „პროფესორთა ლიგის“ წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს, უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს და საკუთარი მოთხოვნებიც წამოაყენეს. „პროფესორთა ლიგის“ თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე აცხადებს, რომ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, უმაღლესი განათლების სფეროში არსებული ვითარება არ შეცვლილა. კერძოდ, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა (ტექნიკური უნივერსიტეტის გარდა) ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშია და ისინი აგრძელებენ იმ პოლიტიკას, რაც მათთვის არის ჩვეული.**

მისი თქმით, უმაღლესი სასწავლებლების ნაციონალების ხელში ყოფნა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ იქ მათი ხელდასხმული რექტორები არიან. ვაჟა შუბითიძე ამბობს, რომ, მაგალითად, ილიას უნივერსიტეტი არის ანტიქართული ლაბორატორია, სადაც 19 აპრილის აქციის სამობილიზაციო შტაბია შექმნილი. პროფესორის თქმით, ნაციონალებმა იციან, რომ მათ აქციაზე 19 აპრილს არავინ მივა და ამიტომ ცდილობენ, დარაზმონ, სტუდენტები, გამოუცდელი ახალგაზრდები, რადგან იციან, რომ ეს სერიოზული ძალაა.

პროფესორთა ლიგა ასევე მოითხოვს, რომ აღდგეს უშიშროების აკადემია. ვაჟა შუბითიძის თქმით, მას შემდეგ, რაც 2004 წელს აკადემია გაუქმდა, უშიშროების კადრები სხვა ქვეყნებში მზადდება, რაც ნონსენსია, რადგან უშიშროების კადრებს ყველა ქვეყანა თავისთვის თვითონ ამზადებს.

„პროფესორთა ლიგის“ კიდევ ერთი მოთხოვნაა უმაღლესი სასწავლებლებიდან უკანონოდ დათხოვნილი თანამშრომლების აღდგენა.

ვაჟა შუბითიძე მინისტრების ხელფასებსაც შეეხო და განაცხადა, რომ მართალია, მინისტრს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს, რადგან იაფი მთავრობა ქვეყანას ძვირი უჯდება, ვინაიდან ის კორუფციაში ეფლობა. მაგრამ, აქვე აღნიშნავს, რომ თუ მაგალითად, დავით დარახველიძეს 8000 ლარამდე აქვს ხელფასი, მაშინ რა დააშავა სრულმა პროფესორმა, რომლის თვიური ანაზღაურებაც 900 ლარია? „პროფესორთა ლიგაში“ მიიჩნევენ, რომ სრულ პროფესორს ორი ან სამი ათასი ლარი უნდა ჰქონდეს ხელფასი.

და ბოლოს, „პროფესორთა ლიგა“ მოითხოვს, რომ ქვეყანაში ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რადგან, მისი წარმომადგენლების განცხადებით, პარლამენტში წარმოდგენილი „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი და მის მიერ პარლამენტში მიღებული ადგილების რაოდენობა ერთმანეთს არ შეესაბამება.

„პროფესორთა ლიგა“ ასევე ითხოვს, რომ შეიქმნას პარლამენტის მეორე პალატა, რომელიც იქნება არა არჩევითი, არამედ შერჩევითი და მასში წარმოდგენილები უნდა იყვნენ სამღვდელოება პატრიარქის მეთაურობით და სამოქალაქო საზოგადოების გამოკვეთილი სახეები. „პროფესორთა ლიგის“ სურვილია, რომ მეორე პალატას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებების დაბლოკვის უფლება ჰქონდეს, რათა ანტიქართული გადაწყვეტილებები არ იქნეს მიღებული.

„პროფესორთა ლიგის“ თანათავმჯდომარე, კახა ჭეიშვილი აცხადებს, რომ ვაუჩერული დაფინანსება განათლების პოლიტიკის სწორად წარმართვის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია. მისი თქმით, ახალი ხელისუფლება ამბობდა, რომ ეს საკითხი გადაიხედებოდა, მაგრამ ამ მხრივაც სიახლე არაფერია. აქვე პროფესორი დასძენს, რომ გია დვალისადმი მისი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა არ არის მზად იმისთვის, რომ დვალის მიერ შემუშავებული კონცეფცია დაინერგოს.

**„ეს არის ე.წ. „ტენუარის“ კონცეფცია და აქ რამდენიმე პრობლემური საკითხია. ერთი არის ის, რომ ამ კონცეფციის დანერგვა ძალიან ძვირი დაჯდება და ასევე შესაძლოა ადამიანური რესურსის გადანაწილება არასამართლიანად მოხდეს“, — აცხადებს კახა ჭეიშვილი.**

მისი თქმით, უნდა მოხდეს უმაღლესი სასწავლებლების საბაზო სახელფასო დაფინანსება, რაც ვაუჩერულ სისტემასთან არის დაკავშირებული. სახელმწიფოს მხრიდან განათლება, ისევე როგორც ჯანდაცვა, არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც ბიზნესი, რადგან ეს სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული მიმართულებაა. კახა ჭეიშვილი აცხადებს, რომ უმაღლესი განათლების საფასური (2250 ლარი), რომელიც ძალიან ბევრი მოქალაქისთვის მძიმე ტვირთია, რეალურად უმაღლესი განათლების დასაფინანსებლად საკმარისი არ არის და მხოლოდ ხელფასების ნაწილს და მცირე დოზით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას ჰყოფნის. პროფესორის თქმით, თუ ამას სამეცნიერო მოღვაწეობაც არ ახლავს თან, ეს არ არის სრულყოფილი პროცესი. ამიტომ მისი თქმით, აუცილებელია, სახელმწიფომ მოიძიოს თანხები იმისთვის, რომ სამეცნიერო მოღვაწეობა დაფინანსდეს.

და ბოლოს, აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით პრესკონფერენციაზე აგრარული უნივერსიტეტის პროფესორმა, ქეთევან რობაქიძემ ისაუბრა. მისი თქმით, 2011 წელს აგრარული უნივერსიტეტიდან განთავისუფლებულმა პროფესორებმა პრემიერ-მინისტრს წერილობით მიმართეს (ასლები კი პროკურატურაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადასცეს) და ითხოვდნენ აგრარული უნივერსიტეტის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებას და მხოლოდ ამის შემდეგ, იქიდან განთავისუფლებული პროფესორ-მასწავლებლების სამსახურებში აღდგენას.

ქეთევან რობაქიძის განცხადებით, აგრარული უნივერსიტეტის კერძო პირის ხელში გადასვლით ცხადი გახდა, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის პრიორიტეტი არ არის, როგორც ეს მანამდე იყო დეკლარირებული.

**„მთელი ეს მოვლენები აგრარული უნივერსიტეტის გასხვისებით დაიწყო. გასხვისებიდან ერთი წლის თავზე დაიწყო აგრარული მიმართულებების ადამიანური რესურსების, სასწავლო პროგრამებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განადგურება, რაც გამოიხატება იმაში, რომ დღევანდელ აგრარულ უნივერსიტეტში აღარ არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი დარგები, როგორიც არის მექანიზაცია, ჰიდრომელიორაცია, აგროქიმია, ნიადაგმცოდნეობა, ვეტერინარია, ზოოტექნიკა და სატყეო დარგი“,** — აცხადებს ქეთევან რობაქიძე.

პროფესორის თქმით, აკადემიური პერსონალი 2013 წლის 15 სექტემბრამდე იყო არჩეული თანამდებობებზე, მაგრამ გამოცხადებული კონკურსები უკანონოდ ჩატარდა. ქეთევან რობაქიძე ამბობს, რომ აგრარულ უნივერსიტეტში ნეპოტიზმის პრინციპით ხდება თანამშრომლების დანიშვნა.

**„კახა ბენდუქიძემ „თავისუფალი უნივერსიტეტიდან“ აგრარულ უნივერსიტეტში პრაქტიკულად სტუდენტები მოიყვანა მასწავლებლებად, რაც უკანონობაა. უმაღლესი განათლების კანონი კრძალავს, რომ ლექცია ჩაატაროს ადამიანმა, რომელსაც არ აქვს დაცული ხარისხი და სამწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. ფაქტობრივად აგრარულ უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა გვაუწყებს იმას, რომ სოფლის მეურნეობა ნადგურდება. ამიტომ იმედს გამოვთქვამ, რომ დღევანდელი ხელისუფლება მაინც გაითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნას და აგრარულ უნივერსიტეტს ისევ სახელმწიფოს გადასცემს საკუთრებაში“,** — ამბობს ქეთევან რობაქიძე.

მისი თქმით, კახა ბენდუქიძის მიზანი (როდესაც აგრარული უნივერსიტეტი საკუთრებაში გადაეცა) აგრარული უნივერსიტეტის ქონების მითვისება იყო, რათა მის შენობაში თანდათან განეთავსებინა „თავისუფალი უნივერსიტეტის“. პროფესორის თქმით, სწორედ ამისთვის გამოიყენა ბენდუქიძემ ავტორიზაციასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი.

**რუსიკო უშიკიშვილი**

მივხედოთ აჭარას!

# ასლან აბაშიძე მოსკოვიდან დაბრუნდა და ახალ მოძრაობას ქმნის

(მესამე გვერდიდან)

მთავარი უბედურება ის არის, რომ სწორედ იმ თვალსაზრისითაა ჩვენს კუთხეში ვითარება უცვლელი, რის წინააღმდეგაც გამოდიოდა და თავს არ ზოგავდა ხალხი, საზოგადოება. ადამიანები სამსახურებში ინიშნებიან ისევ პირადი ნაცნობობისა და მონური მორჩილების მიხედვით მათდამი, ვინც აჭარაში კლანური სისტემის ჩამოყალიბებითაა დაკავებული. ამას მოწმობს საკადრო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების გამო განვითარებული მოვლენები. ამ დროს კი ხდება იგნორირება პროფესიონალი, საქმის მცოდნე, წესიერი ადამიანებისა, ვინც წლების მანძილზე თავს არ ზოგავდა და იბრძოდა რეჟიმის წინააღმდეგ, ხშირად — სიცოცხლის რისკის ფასადაც...

**კიდევ უფრო განმტკიცდა ბათუმის, როგორც საროსკიპოებით განთქმული ზღვისპირა ქალაქის „სტატუსი“. ის ისევ რჩება თურქ, ირანელ და სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა აზარტული გასართობისა და გარყვნილების ცენტრად...** საქართველოს ეროვნული გმირის — მერაბ კოსტავას ძეგლის ნაცვლად, შუაგულ ქალაქში ეგრეთ წოდებული „ჭაჭის კოშკი“ აღმართეს, რომელიც სინამდვილეში, ოსმალეთის იმპერიის ძლიერების ერთ-ერთი სიმბოლო — ციხის საათია. შეიძლება ითქვას, რომ ეს სიმბოლო უკვე ასრულებს სულთან აზიზის მეჩეთ-მუზეუმის ფუნქციას, რუსთაველისა და მემედ აბაშიძის ძეგლები კვლავ დამცრობილ მდგომარეობაში რჩება, როგორც ეს იყო ანტიეროვნული რეჟიმის დროს...

**დღეს, ფაქტობრივად, სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმი დამარცხებულია. გამარჯვების შესანარჩუნებლად და მომავალი განვითარებისათვის საჭიროა სამართლიანობის დამყარება, ასეთ დროს კი უფლება არ გვაქვს, განუსჯელად, უპირობოდ მივიღოთ და მხარი დავუჭიროთ შემთხვევით კანდიდატებს საპასუხისმგებლო სახელმწიფო სამსახურში, საფრთხის წინაშე დავაყენოთ პირველი ოქტომბრის მონაპოვარი, სასწორზე შევაგდოთ ჩვენი კუთხის ბედი და ხელი შევუწყოთ მართვის კლანური სისტემის დამკვიდრებას.**

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, დღემდე, ყველა დიდი მხედართმთავრის, პოლიტიკოსის წარმატების ფორმულა ის იყო, რომ ისინი უპირველესად აფასებდნენ ქვეყნის ერთგულ მამულიშვილებს, საკუთარ ხალხს. **კარგი იქნება, ეს სიბრძნე და გამოცდილება გამოიყენონ იმ ადამიანებმა, ვინც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაივიწყა ხალხი.**



ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობთ, რომ ყოველგვარი უსამართლობის საფუძველი არის არასწორი საკადრო პოლიტიკა. ყველაფრის საზომი ხომ ადამიანია.

**— მაინც რა კონკრეტულ მიზნებს ისახავს თქვენი მოძრაობა?**

— საზოგადოებრივი მოძრაობა — სახალხო სათათბირო არ არის მიმართული რომელიმე კონკრეტული პიროვნებების მიმართ. მისი მთავარი მიზანია სამართლიანობის აღდგენა ჩვენი სამოქალაქო ცხოვრების ყველა მიმართულებით.

**ქალაქის სახალხო სათათბირო თავისი პრინციპულობით აჭარის ხელისუფლებას ხელს შეუწყობს იმ სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც ესაჭიროება ქვეყნის კეთილდღეობას.**

**სათათბირო იზრუნებს, რათა ჩვენმა ქალაქმა — ბათუმმა დაიბრუნოს თავისი ღირსეული ეროვნული სახე.**

საქართველოს მტერსაც და მოყვარესაც, ლიბერალური „ზნეობრივი პროგრესის“ არქიტექტორებს, ცხრა წლის მანძილზე ყალბი დემოკრატიის მქადაგებლებს, რომელთა „მოღვაწეობის“ შედეგებისგან ჯერ კიდევ არ გავთავისუფლებულვართ, საბოლოოდ უნდა ვუთხრათ: **საქართველოში ისეთი მარადიული ღირებულებები, როგორიცაა ერთგულება — არასოდეს იქნება ჩანაცვლებული ღალატითა და გულგრილობით, არ იმრუშო — მრუშობით, არა კაც ჰკლა — მკვლელობით, დიდსულოვნება — სიძუნწითა და ბოროტებით, ღვთისმოსაობა — უღმერთობით. რადგანაც ეს ადამიანური თვისებები თვით უფლისგან არის განპირობებული.**

**სამართლიანობა არასოდეს იქნება ჩანაცვლებული უსამართლობით. ამის ბრწყინვალე მაგალითი უნდა გახდეს ბათუმი. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ყველას თავისი ადგილი მიეჩინოს: სტუმარსაც და მასპინძელსაც, მტერსაც და მოყვარესაც.**

**ამირან კილურაძე,**

„საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი

**P. S. მაშ ასე, აჭარაში დიდი ვნებათაღელვა გრძელდება. გრძელდება-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ვიბრძოდით და „ნაცმოძრაობა“ მივიღეთ, მის წინააღმდეგ ვიბრძოდით და „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში. ვიფიქრეთ, ახლა გვეშველაო. შენც არ მომიკვდე, მართალია, ბევრს ოცნება აუხდა, სხვა დროს რომ ვერ ეღირსებოდა ისეთი თანამდებობები მიიღეს, მაგრამ საზოგადოება, ხალხი? რა მიიღო ხალხმა გარდა იმისა, რომ ნაცნობ-მეგობრებით თანამდებობებზე დანიშნულები ახლა თავად ცდილობენ კლანური მმართველობის ჩამოყალიბებას? აჭარაში გაგებით ეკიდებიან იმას, რომ ბიძინა ივანიშვილი ახლა ისეა დაკავებული, ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების განჩხრეკვის დრო არ რჩება, მაგრამ არც ასე შეიძლება გაგრძელდეს. მე, საქართველოს ერთ რიგით ჯარისკაცსა და ჟურნალისტს, რა შემიძლია გარდა იმისა, რომ ბატონ პრემიერ-მინისტრს მოკრძალებით შევკადრო: ბატონო ბიძინა, აჭარის მოსახლეობას თქვენი იმედი აქვს და არა კოალიციისა. თუ გინდათ, არ დაკარგოთ აჭარა, უშველეთ მას!**

**ა. კ.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# რისთვის ირჯება ხელისუფლება?

**„ნატოშიც შევალთ და ევროკავშირშიც“, — ბრძანა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს. შევალთ, მაგრამ მანამდე მსოფლიოში არსებულ ყველა კონფლიქტში მონაწილეობა არ აგვცდება. ამ „შესანიშნავი“ პერსპექტივის თაობაზე ჯერ ალასანიამ გვაუწყა ბრიუსელიდან, შემდეგ საფრანგეთის სამხედრო ატაშემ საქართველოში. ბარაქალა თქვენს მიგნებას, განსაკუთრებით ფრანგის, რომელმაც ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე „გვირჩია“ — გინდათ ნატოში შესვლა, წადით მალიში. და ეს მაშინ, როდესაც თვით საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებით, მალის ოპერაცია საფრანგეთის ჯარისათვის მაისში დასრულდება.**

ძნელია დაიჯერო, რომ ეს ასე მოხდება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ცინცხალი მაგალითი წინ გიდევს ერაყის სახით. ერაყში შეჭრიდან სულ რაღაც რამდენიმე დღეში მაშინდელმა პრეზიდენტმა ბუშმა სიამაყით აუწყა მსოფლიოს ოპერაციის წარმატებით დასრულება. მერე რა, რომ ამ „საზეიმო“ განცხადებიდან, ომის დასრულებამდე მრავალი წელი გავიდა, შესაბამისი მსხვერპლით, ნგრევით და ა.შ. დავუშვათ, საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადება ახდა, ჩვენ რაღა გვინდა მალიში?

ფათერაკების მაძიებლებს დაამსგავსა ქართული ჯარი წინა და ახალმა ხელისუფლებამ. მომავალ წელს აშშ ასრულებს თავის სამარცხვინო მისიას ავღანეთში, მაგრამ მასზე ჩამოკიდებული საქართველო - არა. ნატოში, ქართველთა ინიციატივით, განიხილება ქართველი მეომრების იქ დარჩენის საკითხი.

ავღანეთის ხანგრძლივი სამხედრო ოპერაცია ტერორიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. ყოველ შემთხვევაში ასეთ კლასიფიკაციას აძლევს მას აშშ-ის ადმინისტრაცია, რასაც თავისთავად იზიარებს პარტნიორი საქართველოც. ტერორიზმის მასშტაბები კი უკიდეგანოა. ის ხან ერთ ქვეყანაში წამოჰყოფს თავს და ხან მეორეში. აქედან და საქართველოს ხელისუფალთა შემართებიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი მეომრების საბრძოლო არეალი გაიზრდება.

მთავარი „მეოცნების“ ოცნება ნატო-ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით დიდი ხანია ასრულებულია, მტკიცება არ სჭირდება. სოლიდური სიმდიდრე და არანაკლები სოლიდური ქვეყნის მოქალაქეობა ამის დასტურია. ბიზნესი ისეთი რამ არის, საზღვრები რომ არ იცის.

საზღვრები და, რაც მთავარია, მასთან დაკავშირებული სავიზო შეზღუდვები ნაკლებად იძლევა თავისუფალი გადაადგილების საშუალებას, განსაკუთრებით ევროკავშირის სახელმწიფოებში. რახანია ქვეყნის ხელმძღვანელობა ჰპირდება საქართველოს მოსახლეობას გაიოლებულ სავიზო რეჟიმს, თუმცა მისი წვლილი აუსრულებელ დაპირებაში გაცილებით მოკრძალებულია, ვიდრე ევროკავშირის. არალეგალური მიგრაციით შეწუხებულ ევროპას უჭირს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რაც გასაკვირი არ არის. ევროპას თავისი გაჭირვება აქვს, როგორც სამუშაო ადგილების სიმცირით, ისე მზარდი უმუშევრობის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში ცეცხლზე ნავთის დასხმის სადარია უკანონოდ შესული ასეულ-ათასობით ადამიანი.

ევროკავშირში შექმნილი მძაფრი ეკონომიკურ-საფინანსო კრიზისი არ უნდა იძლეოდეს იქ გაწევრების სტიმულს, მაგრამ ვიდრე ადამიანი პირადად არ დარწმუნდება იქაურ „სიკეთეებში“, მუდამ ექნება ლტოლვა უკეთესობისკენ. ანალოგიური განცდა ჰქონდათ კვიპროსელებს 5 წლის წინათ. დღეს, ევროკავშირამდე არსებულ ცხოვრებას მისტირიან.

ევროკავშირის მოუქნელობასა და დიქტატზე არა მარტო ახალი წევრი ქვეყნები წუწუნებენ, არამედ ძველებიც — საფრანგეთის, იტალიის, პორტუგალიის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის სახით. შექმნილი ეკონომიკური პრობლემებით შეწუხებულნი, დაბეჯითებით მოითხოვენ კავშირში ყოფნა-არყოფნის რეფერენდუმის ჩატარებას. დემონსტრაციები, სახალხო მიტინგები, პოლიციასთან შეხლა-შემოხლა, მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება, ვადამდელი არჩევნების ჩატარება ჩვეულებადაა ქცეული, თუმცა, კრიზისს არაფერი შველის. ჩვენ კი ევროპისკენ მივიჩქარით.

იმ კრიზისიან ევროპაში გაცილებით უკეთესი ცხოვრებაა, ვიდრე აქ. ყოველ შემთხვევაში ასე გვგონია ჩვენ. მივდივართ და რახანია მივდივართ - ხელისუფალთა განცხადებით. ივანიშვილი ამ შემთხვევაში არ მყავს მხედველობაში. ის ახალია. აი, ძველები კი, სააკაშვილის თამადობით, დღესაც ყურებს გვიჭედავენ, თან გვემუქრებიან, თუ ახალმა ხელისუფლებამ, უმცირესობასთან დაკავშირებით, ნამდვილი სამართალი მოითხოვა, ვილნიუსის სამიტი უარს გვეტყვის ასოცირებულ წევრობაზეო, თითქოს ასოცირება ისეთი რამ იყოს, უმალ ყველა ქართველს პანაცეასავით რომ წაადგება.

**სააკაშვილის მიხედვით, ევროკავშირთან ინტეგრაცია მხოლოდ საქართველოზეა დამოკიდებული და არა ბრიუსელის მაღალ მოხელეებზე. იქ შესვლა თუ მარტო ჩვენზე იყო დამოკიდებული, რაღას აჭიანურებდა? ცხრაწლიანი ბატონობის პერიოდში მას არაერთხელ შეეძლო ამის გაკეთება, მაგრამ...**

ევროკავშირში შესვლა გაცილებით რთულია, ვიდრე ნატოში, თანაც ისეთი პრობლემებიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ამ ორგანიცაზიების სისტემატური ხსენება ისე დააჩქარებს ამ პროცესს, როგორც ერთი მერცხალი გაზაფხულს. ნაცვლად ტყუილი დაპირებისა, უმჯობესი იქნებოდა საკუთარი ხელით საკუთარი ცხოვრების ჭედვა და თუ ამას შევძლებთ, წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩება. და ასეთ ვითარებაში იქნებ არა ჩვენ, არამედ იმათ დაგვიწყონ ხვეწნა — ანტრე ბატონო, უთქვენოთ ჩვენს არსებობას ფასი არ აქვსო.

მკითხველი იტყვის, მანამდე გვერდები არ აგიდგეს, ვიდრე ეს არ მოხდესო. და მართალიც იქნება. იცის იმ ევროპამ, ჩვენი გასაკეთებელი საქმე მას რომ გვინდა ავკიდოთ, ამიტომაც იკავებს თავს და ათას ამოცანას გვტენის ამოსაცნობად.

ხელისუფლება კი გვპირდება, თანაც რახანია. ხალხი ელის (მეტი რა გზა აქვს), ელის იმედით. იმედი დიდი რამ არის.

**„სულელის ძირი რა არის? — ლოდინი. აბა „ლოდინი“ და „სულელი“ — საიდან სადაო, იკითხავთ. არც ისე შორს არიან ერთმანეთზე. იმ კაცს რას ეტყვით, რომელიც „სულ ელის და სულ ელის?“ სულ ელიო „მორჩა და გათავდა“,** — წერდა დიდი ილია.

ახლა, რაც შეეხება „ლოდინს“, ისიც მისი განმარტებით, **„ლოდინში ერთი კიდევ კარგი ის არის, რომ მუქთია. რამდენიც გინდათ ხარჯეთ, გროში არ გაგივათ. მერე კიდევ ის არის, რომ თუ მოინდომეთ, დაუსრულებელი იქნება, ბოლო აღარ მოეღება. ამ მხრივ ლოდინი მეტად კარგი ხერხია და ოსტატის კაცისთვის დიდად გამოსაყენი. შეიძლება ერთს რისამე ლოდინს რომ ბოლო მოეღოს, მაშინვე მეორე საგანი აუჩინო და ამას მიუსიო ადამიანის მუდამ დამშეული გული. ამ გზით შეგიძლიათ ადამიანის გულს არ მოაშოროთ ლოდინი არასდროს. ლოდინი თოკია, თუ ოსტატმა კარგად და ხერხიანად გამოიყენა, მაშინ ხსნილიც დაებმის და დაბმული ხომ დაბმულია და დაბმული“.**

1882 წელს დაწერილი მოსაზრება დღესაც აქტუალურია. ოსტატის ხელში ლოდინი მეტად კარგი ხერხიაო, რომ წერს ილია, ზუსტად ესადაგება წინა ხელისუფლებას - თაღლითობასა და ტყუილებში დაოსტატებულს. რა დიდი სურვილია, რომ ახალმა ხელისუფლებამ არ გააგრძელოს ეს გზა. მაგრამ გაუძლებს ცდუნებას? მინდა ვირწმუნო, რომ გაუძლებს, თუმცა დასაწყისი ძველის იდენტურია.

სულ ახლახანს ტელევიზიამ გვამცნო საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილის ბრიუსელში გამგზავრება, თანაც ისეთი პათოსით, გეგონებოდათ ამ ერთ კაცს აჰკიდეს მთელი ქვეყნის პრობლემებიო. წავიდა და მერე... ჩამოსვლით, აღარ შევუწუხებივართ. როგორც ჩანს, ჩამოსვლის დღეს საინფორმაციო პროგრამა სხვა სიუჟეტებით შეივსო, ამდენად აღარც ზალკალიანი გახსენებიათ და აღარც მის მიერ იქ გაკეთებული „ფასდაუდებელი“ საქმე, ალბათ, არც წასვლას აღბეჭდავდნენ, სხვა უფრო საინტერესო სიუჟეტი რომ ჰქონოდათ.



საზღვარგარეთ მივლინება იმდენად სალაღობოა, როგორც გუშინდელი, ისე დღევანდელი ხელისუფლებისთვის, რომ მისი ზომიერების ჩარჩოში მოქცევა შეუძლებელია. არადა, დიდი რაოდენობის თანხები იხარჯება მოგზაურობებში — ქვეყნისათვის ნაკლებ მნიშვნელოვანში. ერთი მივლინებიდან მეორეში გამგზავრება იმ სისწრაფით ხდება, რომ წინაში „გაკეთებული საქმის“ ქაღალდზე გადატანა (ანგარიშის სახთ) შეუძლებელია. თუმცა, როგორც ჩანს „ანგარიშის“ პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში დეფიციტია.

წინა ხელისუფლების სარეკორდო სამივლინებო მონაცემებს, ტოლს არ უდებს ახლების მადა. დარწმუნებული ვარ, საქართველო ამ მხრივ თითით საჩვენებელია მთელს დედამიწაზე. ეკონომიკურად სუსტი საქართველოს პოლიტიკოსთა სამივლინებო ვნებანი დიდ სახელმწიფოსას უტოლდება, რაც მიუღებელი უნდა იყოს ნებისმიერი გონიერი მთავრობისთვის.

თავის გასამართლებლად ახლებს უმალ მოჰყავთ ძველთა ხელფასებისა და პრემიების საარაკო მაგალითები. თუმცა ამ საქმეში არც ახლები იჩაგრავენ თავს. მაგალითად, ხანმოკლე მუშაობის პერიოდში მიღებული პრემიებიც კმარა, რომ აღარაფერი ვთქვათ მომატებულ ხელფასებზე — ერთობ შეუფერებელზე ღატაკი ქვეყნისათვის.

**დამშეული ქვეყნის უმდიდრესმა პრეზიდენტმა წუხილი გამოთქვა — 21-ე საუკუნეში ბავშვი შიმშილით არ უნდა კვდებოდესო. და ეს „წუხილი“ პრეზიდენტის სასახლეების, უცხოეთში სალაღობო მივლინებების, უზომო ხელფას-პრემიის, „ლიმუზინების“ ფონზე. გლოვის ნიშნად მან პრეზიდენტის სასახლეზე დროშა დაუშვა. დიდად განიცადა პრეზიდენტმა და ჭმუნვაშეყრილმა უმალ უცხოეთს მიაშურა.**

სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის თითოეული დაზოგილი თეთრიც კი დიდი მონაპოვარი იქნება, მით უმეტეს, როდესაც თეთრებთან კი არა, ათეულათასებთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, რაღაც არ მსმენია ახლების მხრიდან დაზოგვის სურვილის თაობაზე. ის, რომ წინა მინისტრები და მოხელეები მეტ ხელფას-პრემიას იღებდნენ, ხოლო ახლები ფიქსირებულ რვა ათას ლარს, დიდი ვერაფერი შვებაა.

ახალ მთავრობას უარი არ უთქვამს ტროლეიბუსის სიდიდის ჯიპებზე, გაუთავებელ, თანაც უშედეგო მივლინებებზე, საკუთარი ხელფასების შემცირებაზე და მისი საქართველოს ცხოვრების შესაფერის დონეზე დაყვანაზე, საპიარო ალა-ფურშეტებზე, ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში უაზრო კონფერენციების მოწყობაზე, მობილური ტელეფონების უზომო ხარჯების შემცირებაზე, პერსონალური ავტომანქანების ბენზინის ულიმიტო ხარჯვაზე.

საქართველოს ხელისუფლებას არ დაუსვამს კითხვა — რაში სჭირდება არშემდგარ, უსუსურ სახელმწიფოს უცხოეთში მომრავლებული დიპლომატიური წარმომადგენლობები. არადა, მათი შენახვა ძვირი ჯდება. საზღვარგარეთ ხანგრძლივ მივლინებაში მყოფი ჩვენი ელჩის ხელფასი ხუთი ათასი დოლარია. საელჩოში, ელჩის გარდა, სხვა დიპლომატებიც არიან. აქედან გამომდინარე ბიუჯეტის გასავალი მნიშვნელოვანია. 60 წარმომადგენლობა სააკაშვილის ავადმყოფური ახირება იყო. რომ დასცლოდა, გაეროს წევრ 193 ქვეყანაში გახსნიდა საქართველოს წარმომადგენლობას.

**საელჩოების გახსნით პრეზიდენტი საკუთარ ამბიციებს იკმაყოფილებდა. საქართველოს ნამდვილად არ აქვს ესოდენ დიდი დიპლომატიური ფუფუნების თავი. არავითარი პოლიტიკურ-ეკონომიკური გამართლება არ აქვს კანადაში, მექსიკაში, იაპონიაში, სხვა ქვეყნებში გახსნილ საელჩოებს.**

ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დასაპურებლად გახსნილი საელჩოები უდიდესი შვებაა იქ მომუშავე პერსონალისთვის, მაგრამ ქვეყნისთვის? რა სჯობს საელჩოში მუშაობას, მით უმეტეს ისეთში, რომელსაც საქმე არ აქვს. ერთადერთი დატვირთვა მოხეტიალე ქართველი მოხელის აეროპორტში დახვედრა-გაცილება და გიდობაა.

ქართულ „დიპლომატიაში“ მომრავლდნენ ელჩები, რომლებსაც უცხოეთში უწყვეტი მუშაობის 16-18-წლიანი სტაჟი აქვთ. მათი ცხოვრება იავარდფენილი იყო, როდესაც ქვეყანას შიოდა, ციოდა, უშუქობა და უპურობა კლავდა. ისინი შორიდან უყურებდნენ ქვეყნის გასაჭირს. რა იღონეს მათ ვითარების გამოსასწორებლად? არც არაფერი ან იმდენად უმნიშვნელო, გახსენებაც არ ღირს.

ცხადია, არის ქვეყნები, ვისთანაც საქართველოს უნდა ჰქონდეს აქტიური დიპლომატიური ურთიერთობები, შესაბამისად იქ გახსნილი საელჩოებით, მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით მოკრძალებულია, ვიდრე არსებული მონაცემები. დიპლომატიასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები ჩნდება, მათი უბრალო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. შეიცვალა რამე ახალ ხელისუფლების პირობებში? არც არაფერი. ახლები, საკუთარი ნათესაური ფონდიდან, ცდილობენ სააკაშვილის „დიპლომატთა“ ცვლას.

ქვეყნის გაუსაძლის სოციალურ მდგომარეობაზე ლაპარაკით არაფერი გამოვა. საჭიროა ხელმომჭირნეობა, დაზოგილი ფულის მიზნობრივი გამოყენება, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება. მაგალითად, თუნდაც უცხოეთში არსებული ლობისტური ჯგუფები გამოდგება. რას ემსახურებიან ისინი? მავანი იტყვის — იქაურ სამეფო კარზე საქართველოს ამბავის სწორად მიტანასო.

კეთილი, უდავოდ, კარგი საქმეა, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ბუზის აქლემად მოჩვენების ნაცვლად, პირდაპირ აქლემი გვეკეთებინა, არა სიტყვებით, არამედ საქმით. დაგვერწმუნებინა ისინი ჩვენს მუყაით შრომაში.

**სააკაშვილმა მილიონები „ჩაყარა“ არშემდგარი საქართველოს რეკლამაში უცხოურ ჟურნალ-გაზეთებსა და ელექტრონულ მედიაში. დაიჯერა ვინმემ, რომ ბათუმი ნიცაზე უკეთესია ან თბილისი — პარიზზე? ასეთ გულუბრყვილოს ჯერ არ შევხვედრივარ. ფული კი დადნა, როგორც წლევანდელი თოვლი.**

ახალი ხელისუფლება უფრო შორს წავიდა — პიარი გვესაჭიროებაო და სახელმწიფო კანცელარიაში მრავალრიცხოვანი საპიარო სამსახური შექმნა, რომლის მთავარი ამოცანა ისე, როგორც ნებისმიერი პიარმანქანისა, მოჭარბებული ლაპარაკია ვითომ გაკეთებულზე, ვითომ მიღწეულ წარმატებებზე და ა.შ.

ფული კი მიდის — მიზერული პენსიების და სოცდახმარებისთვის აუცილებელი ფული.

ის, რომ ვიღაცამ ამერიკაში ქართულ „ჯორჯიას“ მოჰკრა ყური და ამერიკულად აღიქვა, ქართულ „ჯორჯიას“ რა?

20 წელია, ერთ დროს წარმატებული აგრო-სამრეწველო ქვეყანა, წვრილი ვაჭრობით, თაღლითობით, სპეკულაციით (დღეს, რომ ბიზნესი ჰქვია) არის დაკავებული. საქართველო მდარე თურქული პროდუქციის მოსანელებელი ქარხანაა. თურქულმა უხარისხო, შხამ-ქიმიკატებიანმა კვების პროდუქტებმა ისე დააზიანა ქართველთა გულ-კუჭ-ღვიძლი, როგორც მდარე აზერბაიჯანულმა რეგულარის ბენზინმა - ავტომანქანის ძრავები.

სხვა საქმეა სპეკულაციაზე გაფურჩქნული ე.წ. ბიზნესი - ხელისუფალთა წახალისებული, ხალხის ხარჯზე გასუქებული. ის ვერ იცლის საქვეყნო საქმისათვის. რისთვისაც იცლის - ხალხის ყვლეფაა. როგორ არ გვანან ჩვენი მილიონერები რუს ბიზნესმენ პოტანინს, რომელმაც თავისი მილიარდების ნახევარი საქველმოქმედო საქმეში ჩადო. მას არაერთი მიმდევარი გამოუჩნდა. ჩვენში?!

**როდესაც ქვეყნის ჭირი ღობეს ჩხირად ითვლება, ბავშვიც შიმშილით მოკვდება და მოხუციც, ნაგავში მქექავებიც მომრავლდებიან და კარზე მომდგარი მათხოვრებიც.**

და ისევ ილია: **„ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი დიდკაცობა შორს მანძილზედ არის დარჩომილი ამ მხრით და ქვეყნისათვის დადებული ღვაწლი არამც თუ ადამიანის ღირსების მხოლოობით საწყისად მიაჩნია, არამც თუ ჭეშმარიტის პატივმოყვარეობის საგნად ულიარებია, არამედ მის ცხოვრების დავთარში სახსენებლადაც მოხსენებული არ არის. არ არის ქვეყანაზედ არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ასე გულაცრუებული, ასე გულგრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები არიან“.**

„ევროკავშირშიც შევალთ და ნატოშიც“, — გაჰყვიროდა წინა ხელისუფლება. ტოლს მას არც ახალი უდებს. განცხადებით ფუჭდება რამე? არც არაფერი, გარდა იმისა, რომ ხალხი უგრძნობი გახდა ტყუილი დაპირებების მიმართ.



**არც ერთ ხელისუფლებას გულწრფელად არ უკითხავს — შეუშვებენ არაჯანსაღ საქართველოს ევროპაში? კითხვის მოკლე, სამართლიანი პასუხია — არა! მაშ, რატომ ირჯება ხელისუფლება? გარჯის მარტივი მიზეზიც ისაა, რის შესახებაც ილია ჭავჭავაძე 1882 წელს წერდა.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◉ სულაც არ მეხუმრება




# დაიმალეთ, დემოკრატია მოდის!

**საკმაოდ საინტერესო ფოტო გავრცელდა ინტერნეტის საშუალებით. ფოტო, რომელიც საკმაოდ ზუსტად ასახავს დემოკრატიის „მობრძანებას“ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ჩვენს სახლებშიც.**

დიახ, ფართო ნაბიჯებით მოაბიჯებს დემოკრატია და მოჰყავს პედერასტები, ლესბოსელები, ურწმუნო, უჯიშო და უსქესო არსებები. ის არსებები, რომელთათვისაც უმთავრესი მიზანი ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაა.

რა თქმა უნდა, მთავარია ეს ე.წ. „სამოქალაქო საზოგადოება“ აშენდეს და დანარჩენი თუნდაც დაქცეულა, განადგურებულა და საერთოდ გამქრალა.

ამ წერილში არ დავიწყებ მრავალჯერ დაწერილი და ნათქვამი პრობლემების წამოწევას. ასეთი შესავალიც იმიტომ ვამჯობინე, რომ რაღაცით ხომ უნდა დამეწყო.

აქ უბრალოდ უნდა შევეხო იმ დიდ საფრთხეს, რომელიც არსებობდა, მაგრამ დღემდე მხოლოდ „შეშფოთებების“ და „რეზოლუციების“ დონეზე იყო, დღეს კი ფაქტობრივად სახელმწიფოებრივი ხასიათი მიიღო.

**საქმე სამოქალაქო სექტორის „ლიდერს“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ ეხება.**

ვიცი, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ბევრი „ძლიერი ამა ქვეყნისა“ გამინაწყენდება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ისინი გაზეთებს არ კითხულობენ და მხოლოდ დეკლარაციების, კანონპროექტების და სხვა მსგავსი „საჭირბოროტო“ ფურცლების კთხვაში ათენ-ალამებენ (პრინციპში რაც უნდათ ის უქნიათ, ერთ აქციას და „შეშფოთებას“ ნამდვილად გაუძლებს კაცი).

საოცარი რამ მოხდა ამ რამდენიმე დღის წინ.

აჭარაში ადგილობრივი პოლიციის სამმართველოს უფროსსა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები „დაეჯახნენ“ ერთმანეთს. **„მერსედესის“ მარკის ავტომანქანის მძღოლმა როინ ფარტენაძემ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები. შემთხვევა ბათუმში 28 მარტს, 11 საათსა და 40 წუთზე, გრიბოედოვისა და გორგასლის ქუჩების კვეთაზე მოხდა, როდესაც მძღოლი არ დაემორჩილა საგზაო ნიშანს – „დაუთმე გზა“ და „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანას , რომელსაც ვალერი თელია მართავდა, ავარიული სიტუაცია შეუქმნა.**

**შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ორივე ავტომანქანის მძღოლი შემოწმდა ალკოტესტის მეშვეობით. ექსპერტიზის შედეგად დადგენილია, რომ „მერსედესის“ მძღოლი როინ ფარტენაძე ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რის საფუძველზეც შედგა შესაბამისი საჯარიმო ოქმი. მძღოლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილითა (მანევრირების წესების დარღვევა, რასაც საავარიო ვითარების შექმნა მოჰყვა) და 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (საჭის მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის დროს) თანახმად დაჯარიმდა.**

საქმეში ჩაუხედავი კაცი იტყვის, რომ მერე რა, დალია კაცმა, დაჯდა საჭესთან და პატარა უსიამოვნება შეემთხვაო. ვის არ მოსვლიაო (გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, რამდენჯერ მჯდარხართ ნასვამი საჭესთან).

ასე ვიტყოდი მაშინ, ყველაფერს რომ ისე ჩაევლო, როგორც ყველა სხვა იმ შემთხვევაში, რისი მომსწრენიც არაერთხელ ვყოფილვართ, **მაგრამ დემოკრატია რისი დემოკრატიაა, თუ თავისი „შვილები“ არ დაიცვა და სულ მცირე „აღშფოთება“ მაინც არ გამოთქვა.**

არადა, რაღაც „აღშფოთება“ რა მოსატანია, როცა მხარს არა მხოლოდ დასავლური ღირებულებები, არამედ პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მძიმეწონიანი პარლამენტარი მეუღლე გიჭერენ.

ჰოდა, კიდევაც შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი შსს მინისტრის მოადგილეს. ატყდა ერთი ვაი-ვიში მედიაში. ისეთი რუზრუზი და რიარია, რომ ხალხს ლამის ვენეციის კომისიის დასკვნა დაავიწყდა.

ეგ კი არა და ახალგაზრდა იურისტებმა ისიც მოახერხეს, რომ შსს-დან ცნობაც აიღეს იმის შესახებ, რომ აჭარის პოლიციის უფროსს მართვის მოწმობა არ ჰქონია.

მოკლედ რომ ვთქვა, ისე იმუშავეს, ნებისმიერ პოლიციელს შეშურდებოდა.

აქ შემეძლო დამეწერა იმის შესახებ, თუ რა მოხდა შემდეგ. როგორი კომენტარები გაკეთდა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. იყო თუ არა ნასვამი დემოკრატი მძღოლი, როგორ გაქრა ინციდენტის ვიდეოჩანაწერი დ.ა.შ, მაგრამ ამას არ ვიზამ. უბრალოდ დავსვამ რამდენიმე შეკითხვას:

აი, რა უნდა ვიკითხო:

**შეხვდებოდა, თუ არა შსს მინისტრის მოადგილე რომელიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს (ვთქვათ, ახალგაზრდა მედიკოსთა ასოციაციის)?**

**გაშუქდებოდა თუ არა ეს ინციდენტი ასეთი დოზით სხვა ანალოგიურ შემთხვევაში?**

**ვინ არის ეს კოჟორიძე, ასეთი ზედმიწევნით განათლებული, რომ ლამისაა სამშობიარო სახლებიდანაც მეანგინეკოლოგებმა მიაკითხონ კომენტარისა და დასკვნისთვის?**

**რა უფრო ძვირფასია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისთვის: ქართველი ხალხის რჩეულის მანდატი, თუ რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრის „ქსივა“?**

**არის თუ არა საია ახალი „მხედრიონი“?**

**არის თუ არა საქართველოში ორმაგი სტანდარტები?**

**იცის თუ არა ეს ფაქტი ბიძინა ივანიშვილმა?**

მოდით და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის და რევერანსების გარეშე ამ კითხვებზე პასუხების გაცემას შევეცადოთ.

● ნამდვილად არ შეხვდებოდა და თუ წინა ხელისუფლების პირობებში შეხვდებოდა, ჯერ პოლიციელზე წინააღმდეგობის გაწევისთვის სულ ცოტა 400-ლარიან ჯარიმას მიარტყამდა და თუ არასამთავრობოელი ბევრს „გაახურებდა“, ერთ-ორ კაი ცოცხსაც არ დაამადლიდა.

● არ გაშუქდებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ რამდენი ვიღაცა დათვრება და „იბლატავებს“, ყველაფერი რომ ტელეეთერით გადაიცეს, მაშინ „კურიერი“ და „ქრონიკა“ 24 საათი უნდა გადიოდეს ეთერში.

● კოჟორიძე მომავალი უსუფაშვილი, ხიდაშელი, ოქრუაშვილი, ჩუგოშვილი, ანუ მომავალი ხელისუფალია.

● უსუფაშვილის იმ ფრაზაზე – საიას მოწმობა უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე პარლამენტარის მანდატიო, შევარდნაძე გამახსენდა, რომელსაც წამოსცდა საქართველოს პრეზიდენტობა რა მოსატანია, როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავიო. მაშინ „ბაბუ“ კინაღამ შეჭამეს. უსუფაშვილისთვის კი არავის არაფერი არ უთქვამს.

● საია მხედრიონზე უარესია.

● საქართველოში ნამდვილად არის ორმაგი სტანდარტები.

● არ ვიცი.

ბუნებრივია ამ თემასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელ ფეისბუკშიც გამოითქვა საკმაოდ საინტერესო მოსაზრებები.

● **საია რომ რაღაცას თამაშობს...ეგ, ჰო, მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს – პოლიციის მაღალჩინოსანს რომ სცოდნოდა... მძღოლის ვინაობა (საიას მძღოლობა)... მაშინაც ასევე დაიცავდა თავის მუნდირს... თუ?????**

● **აი, არ მინდოდა ამის დაწერა :) სულ მე მივდივარ დინების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ხვალ რომ პოლიციამ უზრდელი მოქალაქეების დაცვაზე უარი თქვას, იმიტომ რომ ნებისმიერს შეუძლია გაეჭიმოს და „პრავები უკაჩავოს“, რაც ვანოს მკაცრი ხელი აღარ ხელობს საზოგადოებისთვის, ვინ დაგიცავთ, ჰა???? ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია?? პოლიციაში ადამიანები არ მუშაობენ??? აბა, ვანოს პოლიცია ყოფილიყო, რა მოუვიდოდა მაგ მთვრალ მძღოლს, აშკარად რომ ბლატაობდა, მაგასაც ვნახავდით... იქნება და ცოტა დამშვიდდეთ, დღეს მთელი დღე რომ გაგაქვთ და გამოგაქვთ ღარიბაშვილზე???? ერთი, თავებს ჰკითხეთ - ძალიან პატივისცემით ექცევით პოლიციელებს 1 ოქტომბრის შემდეგ??? მესმის გადააჭარბა, მაგრამ რეაგირება ხომ მოახდინა ღარიბაშვილმა??? თუ ახლა თქვენ მაგ უწყების მართვა ადვილი გგონიათ და სხვა უკეთესად შეძლებს კიდევ??? რავი აბა – არ მიყვარს ეს გადამეტებული კრიტიკა და თავის გამოდება, მით უმეტეს – ფბ-ზე იმის მტკიცება – ვინ უფრო ლიბერალია :)**

ერთის შეხედვით, ინციდენტი ფაქტობრივად ამოიწურა. ორივე მხარემ, შსს-მაც და არასამთავრობო სექტორმაც, განცხადებები გააკეთეს. ბუნებრივია, რომ სექტორელებმა აქციაც მოაწყვეს (შსს ამას ვერ იზამს), მაგრამ ერთი რამ კი კარგად გამოჩნდა:

**აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი დემოკრატიის დამცველის ნიღაბს ამოფარებულთა დაუსჯელობის სინდრომის გაჩენისა.**

**ჰოდა, ფრთხილად ვიყოთ, ფრთხილად, თორემ...**

**გია გაბრიჭიძე**

◉ უმაღლესი სასწავლებელი

# უკეთესი შედეგებისთვის

## პროფესორ-მასწავლებლები და მშობლები სწავლის დონის ამაღლების შესახებ მსჯელობენ

ამ დღეებში უმაღლესი განათლების, სასწავლო დისციპლინათა პროგრამირების სრულყოფის საკითხებს მიეძღვნა თბილისის ტურიზმის აკადემიისა და სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მშობლების გაერთიანების შეკრება.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა ამ სასწავლებლის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ: დეკანი ნანა კირკიტაძე, კადრების მენეჯერი თინათინ ჭყრუნიშვილი; მათთან ერთად სასწავლო დისციპლინის განმტკიცების, ლექციებზე დროული და სისტემატური დასწრების აუცილებლობაზე ისაუბრეს მშობლებმა: უშანგი დალალიშვილმა, ანტონ გვარჯალაძემ, ნინო ქეშელაშვილმა, ნონა კვესიეიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ კმაყოფილნი არიან სასწავლებელში არსებული მდგომარეობით და მათი სურვილია ერთობლივი ღონისძიებების გატარებით კიდევ უფრო უკეთესი შედეგების მიღწევა.

მშობელთა ინიციატივით განახლდა სამეურვეო საბჭო (თავმჯდომარე: თინათინ ჭყრუნიშვილი), რომელიც მხარში ამოუდგება ტურიზმის აკადემიისა და დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო-შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებების განხორციელებაში.



დასასრულს პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა მადლობა გადაუხადა სტუდენტთა მშობლებს შეკრებისა და დასახმარებლად მზადყოფნისთვის.

**ლია ხმალაძე,**
**საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

◉ ინფორმაცია

### საიალელები ახლა თელიას ნარკოტესტზე შემოწმებას ითხოვენ

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აჭარის შს-ს მთავარი სამმართველოს უფროსის ვალერიან თელიას ნარკოტესტზე შემოწმების მოთხოვნას ისევ ძალაში ტოვებს.**

**როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ორგანიზაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძემ „ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე პასუხისას განაცხადა, მიუხედავად მოთხოვნისა, თელია ნარკოტესტზე შემოწმების გავლაზე ჯერჯერობით უარს აცხადებს.**

**მისივე განმარტებით, აღნიშნული აუცილებლობად ჩათვალეს ბათუმში 28 მარტს მომხდარი ინციდენტის დროს თელიას არაადეკვატური ქმედებიდან გამომდინარე.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



# თბილისის ზოოპარკი: „შეჭმული“ 61 ჰექტარი...

**თბილისის ზოოპარკი დედაქალაქის ყველაზე ეგზოტიკური და სიცოცხლით სავსე პარკია, ბავშვებისთვის კი ყველაზე კარგი გასართობი ადგილი. მშვიდ გარემოში შეგიძლიათ ისეირნოთ, დაათვალიეროთ ცხოველები, მოინახულოთ ტერარიუმი, სადაც ქვეწარმავალთა მრავალფეროვნებაა, მდიდარი აკვარიუმები. ზოოპარკის სტუმრებს შემეცნებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა ეძლევათ. აქ მუშაობს ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც 5-დან 16 წლამდე ასაკის მოზარდებს უტარდებათ ინფორმაციით დაყურსული და სახალისო ტიპის ლექციები ფაუნისა და ფლორის შესახებ.**

**პარკის ტერიტორიაზე შეგიძლიათ გაერთოთ სხვადასხვა ატრაქციონით, ისეირნოთ პონებით, ან პარკის კაფესა და სანაყინეს ესტუმროთ.**

თბილისის ზოოლოგიური პარკი 1927 წელს დაარსდა. ზოოპარკის მოსაწყობად მდ. ვერეს ხეობაში გამოიყო 70-მდე (შემდეგ 120-მდე) ჰა მიწის ნაკვეთი. გათვალისწინებული იყო განყოფილებები: კავკასიის, ანუ მხარეთმცოდნეობის განყოფილება, ეგზოტიკური, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და სხვა. სამწუხაროდ, ზოოპარკს თანდათან 61 ჰექტარი „შეუჭამეს“.

გავესაუბრე ზოოპარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომელს **ზვიად კელენჯერიძეს.**

**— დღესდღეობით რამდენი ცხოველი გყავთ ზოოპარკში?**

— დღეისთვის ზოოპარკში დაახლოებით 300 სახეობის ცხოველი ბინადრობს. შეგიძლიათ მოინახულოთ: მარტორქები, ვეფხვები, ლომები და სხვა, რომლებიც მსოფლიოს ერთ-ერთ უიშვიათეს სახეობებს წარმოედგენენ და ველურ ბუნებაში მცირე რაოდენობით არიან დარჩენილი.

ჩვენი ბინადრების რიცხვს ყოველწლიურად სხვადასხვა სახეობა ემატება.

**— რომელი იშვიათი სახეობის ცხოველები გყავთ?**

— გამორჩეული სახეობისანი საკმაოდ ბევრი გვყავს, რითაც ნამდვილად ვამაყობთ. გვყავს აზიური სპილო, თეთრი ლომი, თეთრი ვეფხვი, თეთრი მარტორქა, აფრიკული გარეული ძაღლი, უსურიული ვეფხვი და სხვა.

ჩამოთვლილი ცხოველების უმეტესობა ძალიან იშვიათია და დამთვალიერებლებშიც დიდი ინტერესით სარგებლობენ. მათ გარდა ზოოპარკის სტუმრებში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობენ პრიმატები. მათგან თბილისის ზოოპარკში ბინადრობენ: ჰამადრილი, ქოჩორა გიბონი, მწვანე ანთარი და ლემური. ისინი როგორც ძალიან მოძრავი და „ცელქი“ ცხოველები, დიდ ყურადღებას იქცევენ.

**— მატება თუ არის?**

— მატება ყოველწლიურადაა. მარტო 2013 წელს, ჩვენთან დაიბადა აფრიკული ლომი, თეთრი ვეფხვი, ენოტი, გარეული ღორი, ველოდებით იაგუარის დაბადებასაც.

**— ცნობილია, რომ 2009 წელს გმირთა მოედანზე დაწყებულმა ესტაკადის მშენებლობამ ზოოპარკის სხვაგან გადატანის აუცილებლობა წარმოშვა. რატომ გადაწყდა ადგილმდებარეობის შეცვლა?**

— რა თქმა უნდა, ესტაკადამ გარკვეული დისკომფორტი შექმნა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ რაიმე განსაკუთრებული პრობლემები არ მოჰყოლია და არც გადატანის აუცილებლობა წარმოუშვია.

ზოოპარკის გადატანა უმთავრესად განაპირობა არსებული ტერიტორიის სიმცირემ (ზოოპარკი დღესდღეობით სულ 9 ჰექტარს მოიცავს) და ახალი, თანამედროვედ დაგეგმარებული ზოოპარკის აშენების სურვილმა. გადატანა-არგადატანის საკითხი ჩვენზე არაა დამოკიდებული. თბილისის ზოოპარკი სახელმწიფოს ექვემდებარება და ეს გადაწყვეტილება მისი მისაღებია. რა იქნება მომავალში? უტყუარად მხოლოდ ის ვიცი, რომ ახალი ადგილი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზეა შერჩეული.

**— დამთვალიერებელი კლებულობს?**

— სულაც არა. ზოოპარკს 2007 წელს დაახლოებით 545.000 დამთვალიერებელი ჰყავდა, არანაკლებ წარმატებული გამოდგა 2012 წელიც — 509 ათასი დამთვალიერებელი.

**— რამდენად შეესაბამება თანამედროვეობას თბილისის ზოოპარკი?**

— ვოლიერთა გარკვეული ნაწილი დადგენილ სტანდარტებს აკმაყოფილებს, ზოგიერთი — ნაკლებად. ვოლიერებს მუდმივად ვაუმჯობესებთ, ეს ცვლილებები იოლი შესამჩნევია. ვაშენებთ ახალ ვოლიერებსაც. მაგრამ ერთბაშად დიდი ცვლილებების განხორციელება ძალიან ძნელია და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ბერლინის ზოოპარკი, რომელიც ჩამოყალიბდა 1844 წელს, განლაგებულია 35 ჰექტარზე. იქ ბინადრობს დაახლოებით 1500 განსხვავებული სახეობა. მათი საერთო რიცხვი 13 ათასზე მეტია. 2008 წელს ზოოპარკს ეწვია 3 მილიონზე მეტი დამთვალიერებელი. ბერლინის ზოოპარკში ბილეთის ფასი 13 ევროა (მოქმედებს ფასდაკლებებიც სტუდენტებისა და ბავშვებისთვის); ვენაში არის მსოფლიოს უძველესი ზოოპარკი, რომელიც 1752 წელს დაარსდა. აქ ჯერ კიდევ არის შემორჩენილი და საკმაოდ კარგად შენახული ბაროკოს სტილის შენობები, რომლებიც წარსულს გაგახსენებთ. ზოოპარკი ამაყობს თავისი წვლილით სახეობათა შენარჩუნებაში. აღსანიშნავია, რომ 1904 წელს აქ დაიბადა ტყვეობაში პირველი სპილო, ხოლო 2007-ში აქვე გაჩნდა პირველი პანდა ბუნებრივი განაყოფიერებით; ნიუ-იორკის ზოოპარკში, რომელიც უდიდესია ამერიკის კონტინენტზე, 650 სახეობის 4 ათას ცხოველზე მეტი ჰყავთ. უდიდეს ნაწილს ბუნებაში გადაშენება ემუქრება.

ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ ფაქტია, რომ ცვლილებები აუცილებელია, რა თქმა უნდა, უკეთესობისკენ.



**ნინო ოთარაშვილი,**
**გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის სტუდენტი.**

ჯანმრთელობა

# კინეზოთერაპია ავადმყოფის ფიზიკური რეაბილიტაციის ძირითადი მეთოდია

**კინეზოთერაპია, ანუ მოძრაობითი მკურნალობა (მკურნალობა მოძრაობით) ადრე ცნობილი იყო, როგორც სამკურნალო ფიზკულტურა. კინეზოთერაპია ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს ავადმყოფის აღდგენით მკურნალობაში. ამ მეთოდის გარეშე ვერ ხერხდება ბევრი ავადმყოფის ფიზიკური მდგომარეობის სრულად ან ნაწილობრივ მაინც გაუმჯობესება, რის გამოც მათ უქვეითდებათ ან საერთოდ ეკარგებათ შრომის უნარი და ინვალიდები ხდებიან.**

კინეზოთერაპია ავადმყოფის სხვადასხვა მდებარეობასა და მდგომარეობაში ყოფნის დროს აქტიური სამკურნალო ხასიათის ვარჯიშების ჩატარებას გულისხმობს. ფიზიკური ვარჯიში კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალებაა, ხოლო კინეზოთერაპიის დამხმარე საშუალებებს მიეკუთვნება: მასაჟი, ანუ კუნთების პასიური ვარჯიში, რაც ხელით ან მექანიკურად, აპარატით ტარდება.

კინეზოთერაპიის დროს ამოქმედებული კუნთებიდან ან წარგზავნილი ნერვული იმპულსები სტიმულირებას უკეთებენ მთელ რიგ ნერვულ სისტემას, სისხლის მიმოქცევას, სუნთქვით პროცესს, აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას და სხვა, რაც ტონიზირებულად მოქმედებს ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე, ეს კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ავადმყოფის გამოჯანმრთელების პროცესის დაჩქარებას.



მართალია, საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ავადმყოფთა მკურნალობის საქმე მის შემდეგ, რაც შემოღებული იქნა სადაზღვევო მედიცინა, მაგრამ ეს მკურნალობა ეხება ე. წ. გადაუდებელ თერაპიას, რიგითი სამედიცინო შემოწმების დროს სათანადო დანიშნულების მიცემას და სხვა. ამ შემთხვევაში ავადმყოფს არ უხდება ფინანსური ხარჯების გაწევა. რაც შეეხება აღდგენით მკურნალობას, განსაკუთრებით კი კინეზოთერაპიის მეთოდით ფიზიკური რეაბილიტაციის პროცედურების ჩატარებას, სადღეისოდ სადაზღვევო მედიცინა ამას არ ითვალისწინებს, ამიტომ ჯერჯერობით ავადმყოფების აღდგენითი მკურნალობა პრობლემად ითვლება. რასაკვირველია, ვისაც აქვს ფინანსური შესაძლებლობა, ისინი, როგორც წესი, კინეზოთერაპიით აღწევენ სასურველ შედეგს (სულ უარეს ემთხვევაში მათში თვითმომსახურების ჩვევების აღდგენა მაინც ხდება), ხოლო, ვისაც ამის შესაძლებლობა არა აქვს, მათი აღდგენითი მკურნალობა მძიმე დაავადებების (გულის კუნთის ინფარქტი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა, რთული მოტეხილობები, სახსართა პათოლოგია და სხვა) დროს სავალალოდ მთავრდება. უნდა ვიმედოვნოთ, რომ, ალბათ, ახლო მომავალში, როდესაც საყოველთაო მედიცინა ჩვენს ქვეყანაში მყარად მოიკიდებს ფეხს და პირველ რიგში ე. წ. უმწეო ავადმყოფთა მკურნალობა სრულიად უფასო გახდება, გასათვალისწინებული იქნება ასეთი ავადმყოფებისათვის ფიზიკური რებილიტაციის, განსაკუთრებით კი კინეზოთერაპიის მეთოდით საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში და თუ გინდ ბინაზე, ფინანსური დანახარჯების გარეშე ჩატარება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ფიზიკური რებილიტაციის — როგორც ფიზოთერაპიის, ბალნეოთერაპიის, კურორტოლოგიის, ისე კინეზოთერაპიისა და სპორტული მედიცინის სწავლების საქმეს. ჩვენი დეპარტამენტი უახლოეს პერიოდში მიიღებს ახალ სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ბაზას, რაც მოგვცემს საშუალებას, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ სწავლება და მუშაობა როგორც კინეზოთერაპიაში, ისე სპორტულ მედიცინაში. ეს დეპარტამენტი ის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ობიექტია, სადაც მომავალი ექიმები ღებულობენ საჭირო ცოდნას კინეზოთერაპიასა და სპორტულ მედიცინაში, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მოსახლეობის მკურნალობის, გამოჯანმრთელების და მათი პროფილაქტიკის პრობლემის გადაწყვეტის, ისე სპორტის განვითარების თვალსაზრისით.

ჩვენს უნივერსიტეტში მოქმედებს ასევე ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი (დეკანი — პროფესორი კ. ჭელიძე, ხელმძღვანელი — პროფესორი ლ. მასხულია), სადაც წარმატებით ხორციელდება იმ სპეციალისტების მომზადება, რომლებიც იმუშავებენ, როგორც სამკურნალო (სარეაბილიტაციო) დაწესებულებებში, ისევ სპორტის ცალკეულ სახეობებში, ფიზიკური რებილიტაციის პროფილით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპეციალობით მედიცინის მუშაკებზე დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო საქართველოში, არამედ ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც, ამიტომ უნივერსიტეტის აღნიშნული ფაკულტეტის ბევრი კურსდამთვრებული ყოველწლიურად სწორედ ამ ქვეყნებში იწყებს მუშაობას, რაც უდაოდ მისასალმებელია.

ვინაიდან კინეზოთერაპია და ფიზიკური რებილიტაციის სხვა მეთოდები აღდგენით მკურნალობაში უაღრესად ეფექტურ შედეგებს იძლევიან, ამიტომ ისინი უფრო ფართოდ უნდა იყოს დამკვიდრებული ჩვენი ქვეყნის სამედიცინო სისტემაში.

**რომანოზ სვანიშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, პროფესორი, თანამედროვე სპორტული მედიცინისა და კინეზოთერაპიის ფუძემდებელი საქართველოში;**

**ნაირა ჭაბაშვილი,**
**ამავე უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო რუსეთელებისთვის ციხეს აუქმებს

**საქართველოს პარლამენტმა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ტერიტორიებზე „უკანონო შესვლისთვის“ სასჯელის შემსუბუქების პროცედურა აამოქმედა. ამიერიდან კანონის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ პირველი დარღვევისთვის რუსეთელებსა და სხვა უცხოელებს ემუქრებათ მხოლოდ ჯარიმა და არა ციხე. მმართველ კოალიციაში მიუთითებენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესების აუცილებლობაზე. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლები კი მთავრობის ინიციატივას „მოსკოვისთვის დაუშვებელ დათმობას“ უწოდებენ.**

საქართველოს პარლამენტის აპარატში წყარომ ჩვენს გაზეთს აცნობა, რომ ცვლილებას კანონში კენჭისსაყრელად შეიტანენ „პარლამენტის უახლოეს პლენარულ სესიაზე“. მისი მიღება არავის აეჭვებს. 2 აპრილს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოიწონა მთავრობის ინიციატივა „რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მონაკვეთის რუსეთის მხრიდან გადაკვეთის ნაწილობრივი დეკრიმინალიზაციის შესახებ“.

ახლა, თუ რუსეთელი ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოგზაურობის შემდეგ აღმოჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე, მას გადაახდევინებენ ჯარიმას 400 ლარის ოდენობით და „გაუწევენ განმარტებით ინსტრუქტაჟს“. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თავისუფლების აღკვეთით 2-დან 4-წლამდე (როგორც ეს ამჟამადაა) დადგება მხოლოდ „განმეორებითი დარღვევის“ დროს.

კანონპროექტის განხილვის დროს მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ საკითხი შეეხება მხოლოდ „კანონის შემსუბუქებას“, და არა პასუხისმგებლობის სრულ გაუქმებას საქართველოს საზღვრის დარღვევისთვის. თუ ადამიანი, რომელმაც ამის შესახებ არაფერი იცოდა, პირველად მოხვდება აფხაზეთის ტერიტორიაზე, შემდეგ ჩამოვა თბილისში, არ არის სავალდებულო უმალვე ჩავსვათ იგი ციხეში, საკმარისია ჯარიმა პროფილაქტიკური ზომების სახით“, — განმარტა დეპუტატმა, კონფლიქტის მოწესრიგების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ.

**აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოგზაურობისთვის შეიძლება მხოლოდ ჯარიმა გაკმარონ**

მაგრამ პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები კატეგორიულად არ ეთანხმებიან ასეთ შემსუბუქებას. „ჩვენ რუსეთის ფედერაციას ვუგზავნით სიგნალს იმის შესახებ, რომ მზად ვართ, გადავსინჯოთ ფუნდამენტური კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც ოკუპაციის ფაქტისადმი ჩვენი დამოკიდებულების იურიდიული საფუძველია!“ — აღშფოთებას ვერ მალავდა დეპუტატი აკაკი მინაშვილი. მას ეშინია, რომ მსოფლიო გაერთიანებამაც „ასევე შეუძლია არასწორად აღიქვას ამგვარი გადაწყვეტილება“.

მართალია, ცვლილებები ვრცელდება ყველა უცხოელზე, საქართველოში ესმით, რომ საკითხი შეეხება, უწინარეს ყოვლისა, რუსეთელებს, რომელთაგანაც ბევრი უკანასკნელ წლებში გაასამართლეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით „აფხაზური ბეჭდის გამო პასპორტში“. უკანასკნელი შემთხვევა მოხდა 2012 წლის მარტში, როდესაც მოსკოველი ბიზნესმენი კონსტანტინ როდიონოვი დააპატიმრეს თბილისის აეროპორტში მას შემდეგ, რაც მის პასპორტში შენიშნეს შტამპი საკონტროლო-გამტარ პუნქტ „ფსოუში“ საზღვრის გადაკვეთის შესახებ (რუსეთის ფედერაციას და აფხაზეთს შორის). „მე ვიყავი აფხაზეთში რამდენიმე წლის წინათ და წარმოდგენაც არ გამაჩნდა ასეთ კანონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სულაც არ ჩამოვიდოდი საქართველოში, რუსეთის მესაზღვრეებმა კი თბილისში გამოფრენის წინ არ გამაფრთხილეს“, — ჩიოდა ბატონი როდიონოვი ჩვენთან საუბარში. ციხეში თვენახევრის ყოფნის შემდეგ ის გაათავისუფლეს, რომელმაც პროკურატურასთან დადო „პროცესუალური შეთანხმება საქართველოს ბიუჯეტში დიდი თანხის გადახდის შესახებ“. „უკანასკნელ წლებში ათობით ადამიანი, მათ შორის რუსეთის ფედერაციისა და სომხეთის მოქალაქეები, აღმოჩნდნენ ციხეში ანალოგიური ბრალდებით“, — განმარტა ჩვენთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო კონფლიქტების მოწესრიგების მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა.

„ეჭვი არ არის, რომ გადაწყვეტილება, შეამსუბუქონ დაცვა რუსეთელებისთვის, ვინც აფხაზეთში იყო, — არის ჟესტი რუსეთის მისამართით და მცდელობა, მოიგონ მოსკოვის გული, — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს დიპლომატიური აკადემიის ყოფილმა რექტორმა სოსო ცინცაძემ, — მაგრამ რამდენად შედეგიანი იქნება ეს ჟესტი, ძნელი სათქმელია, ვინაიდან საკითხი შეეხება მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებას და არა კანონის აკრძალვითი ნორმის სრულ გაუქმებას“.

Коммерсантъ

◉ არ ახალია, ძველია!

# სომხები იშხანსა და ოშკს ითვისებენ...

**New posts-ის ინფორმაციით, „იშხნისა“ და „ოშკის“ „სომხური ისტორიული ძეგლების“ დაბრუნებაში აქტიურ ჩართვას სომხეთის პატრიარქს გარეგინ მეორეს „რუსეთის ჯავახური დიასპორა“ სთხოვს.**

განცხადებაში, თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებული უძველესი ქართული ტაძრები სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ნაწილებად არის მოხსენიებული.

**„თქვენო უწმინდესობავ! როგორც თქვენთვის ცნობილია, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული სიწმინდეების კუთვნილების, რესტავრაციისა და გადაცემის საკითხი სომხებისა და განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა მემკვიდრეების უსაზღვრო შეშფოთებას იწვევს. საუბარი ეხება (მათ შორის) სამონასტრო კომპლექსებს: იშხანს, ოშკსა (ოშკივანკს) და ბანაკს.**

**ჩვენი აზრით, იქმნება რეალური საშიშროება ჩვენი ერის ისტორიული მემკვიდრეობის მისაკუთრებაზე. ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ უნდა დავიცვათ ეს ბურჯები, რომლებიც მთელს ჩვენს უდიდეს ერს აერთიანებს. ერთ-ერთ ასეთ მთავარ და მყარე საფუძველს სომხური წმინდა სამოციქულო ეკლესია წარმოადგენს.**

**ჩვენი აზრით, დღეისათვის, თქვენ, ჩვენს საყვარელ კათოლიკოს-პატრიარქს გარეგინ მეორეს, ჩვენი დაქუცმაცებული ერის გაერთიანებისთვის უდიდესი მუშაობა მოგიწევთ. მივიჩნევთ, რომ ჩვენმა წმინდა სამოციქულო ეკლესიამ, ყველაზე სერიოზული ქმედებები უნდა განახორციელოს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ათასი კვადრატული კილომეტრი გვეკუთვნის — თუ არა ეთნიკური, საეკლესიო მიწების მაინც. არსებობს ისტორიული არქივები ეჩმიაძინში, ანტილიაში, სტამბულში, რომლებიც ამ ფაქტს ამტკიცებს. ასე რომ, მოგიწოდებთ, თურქეთისგან მინიმალური მაინც მოითხოვოთ, რომ ჩვენი კუთვნილი საეკლესიო მიწები დაგვიბრუნოს. ჩვენმა სამოციქულო ეკლესიამ საკუთარი ქონება უნდა დაიცვას.**

**დარწმუნებულნი ვართ, რომ იურიდიულად ამის მიღწევა შესაძლებელია და მისი დაწყება უკვე დღეიდან, საჯაროდ განცხადებით არის აუცილებელი. თითოეულ სომხურ ეკლესიას საკუთარი მიწა, სასაფლაო ჰქონდა და ვიმეორებთ, რომ ის ეკუთვნოდა არა ოსმალეთის იმპერიას, არამედ სომხეთის სამოციქულო ეკლესიას. ასეთი პოზიციის არარსებობა საბჭოთა პერიოდში ყველასთვის გასაგებია, თუმცა დღეს, გაჩუმება და უმოქმედობა არ შეიძლება აიხსნას. ჩვენი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრია და ჩვენ ამის სამართლებრივი საფუძველი გვაქვს.**

**თქვენო უდიდებულესობავ! ნება მოგვეცით გითხრათ, რომ თუ ჩვენი წმინდა სამოციქულო ეკლესია ასეთ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ დაე იყოს დარწმუნებული, რომ მას მთელი ერი მხარს დაუჭერს“,** — წერენ განცხადებაში.



**სომხები ამ სიცრუეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ავრცელებენ და ეს უნდა დაიგმოს. ასე გაგრძელება და ამათ უნამუსობაზე წაყრუება არ შეიძლება. დროა, ქართველებმა სომხების ათასგვარ უნამუსობაზე და უზნეობაზე ხმა ამოვიღოთ, ისტორიკოსებმა მეცნიერულად უნდა დაასაბუთონ, თუ რატომ არ შეიძლება ქართული ძეგლები ვინმემ განიხილოს სომხურად.**

**ნატა ნიბლაძე**

## დედამიწის ზურგზე



**არქეოლოგებმა ძველი ბერძენი ისტორიკოსის მითითებით აღმოაჩინეს „ჯოჯოხეთის კარი“, სადაც ადამიანები და ფრინველები „დახოცილები ცვივა მიწაზე“**

მეცნიერებმა თურქეთის თანამედროვე ქალაქ პამუკალეში აღმოაჩინეს „პორტალი მიწისქვეშა სამეფოში“, რის შესახებაც ჯერ კიდევ პირველი საუკუნის ისტორიკოსი სტრაბონი წერდა. გათხრების დროს მათ აღმოაჩინეს ტაძრის სვეტებიანი ნანგრევები ღმერთების პლუტონისა და პერსეფონას სახელებით, გამოქვაბულიდან კი, რომელსაც „ჯოჯოხეთის კარი“ უწოდეს, მოდიოდა ნახშირმჟავა გაზის ორთქლი, რომელში მოხვედრის დროსაც ცხოველები იღუპებოდნენ.

**ისრაელმა სირიასა და ღაზას სექტორში მოახდინა საპასუხო დარტყმები, აამოქმედა ტანკები და ავიაცია**



ისრაელის ტანკებმა სირიის ტერიტორიაზე გახსნეს ცეცხლი მას შემდეგ, რაც სირიელებმა დაიწყეს სროლა ისრაელელი სამხედრო მოსამსახურეების მიმართულებით გოლანის სიმაღლეებზე. ასევე ოთხშაბათს ღამით ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეუტიეს ორ „ტერორისტულ ობიექტს“ ღაზის სექტორის ჩრდილოეთში, საიდანაც უკანასკნელ პერიოდში აწარმოებდნენ სარაკეტო და ნაღმსატყორცნ შეტევებს.

**ავიაციის მომავალი მსუქნების „გადასახადებზეა“, განაცხადა იმ კომპანიის შეფმა, რომელიც მგზავრებს წონის**

კომპანია „სამოა აირის“ ავიაბილეთების ფასის განსაზღვრის პრინციპია — „გადაიხადე იმდენი, რამდენსაც იწონი“. მან უკვე შეიძინა მომხრეები, თუმცა სამოაში მოსახლეობის სიმსუქნის დონე 80 პროცენტს აჭარბებს. ავიაკომპანია მიფრინავს სხვა კუნძულებზე, სადაც მოსახლეობა ასევე გამოირჩევა განსაკუთრებული სიმსუქნით. ახალი წესის ყველაზე მეტი კმაყოფილები ბავშვიანი ოჯახები არიან.

**დიდი აფეთქების „რემიქსი“: მეცნიერებმა კიდევ უფრო ზუსტად აღადგინეს იმ მოვლენათა ხმა, რომლებმაც წარმოშვეს სამყარო**



ამერიკელმა ფიზიკოსმა ჯონ კრამერმა წარმოადგინა ჩანაწერი სამყაროს მიკროტალღური ფონის ირიბ ცვლილებათა საფუძველზე იმ მომენტში, როდესაც სამყარო 760 ათასი წლისა იყო. ისინი გადმოსცემენ რხევებს, რომლებიც ახდენენ დიდი აფეთქების პროვოცირებას. ათი წლის წინათ მეცნიერმა უკვე ჩაიწერა დიდი აფეთქების ხმები, მაგრამ მონაცემები არ ყოფილა ასეთი სიზუსტისა.

**ბელგრადსა და პრიშტინას შორის მოლაპარაკება დამთავრდა სერბი თავდაცვის მინისტრის გადადგომის მცდელობით**

სერბეთის და კოსოვოს მთავრობათა მეთაურებმა და ევროპული დიპლომატიის ხელმძღვანელმა კეტრინ ეშტონმა მოაწყვეს რამდენიმე ორმხრივი და სამმხრივი შეხვედრა, რომლებიც დაახლოებით 12 საათი გრძელდებოდა. მხარეები წარუმატებლად ცდილობდნენ, შეთანხმებულიყვნენ კოსოვოში სერბეთის მუნიციპალიტეტების მომავალ უფლებამოსილებათა შესახებ.

ვაჰ, სოფელო!



***საქართველოს** ისტორიის მკვლევართაგან ყურადღებას იპყრობს თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ვალერიან ელანიძე**, რომელიც თუშეთის სოფელ ჩიღოში დაიბადა და თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში გაიზარდა. მას მრავალი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.*

*ამ ბოლო წლებში ტელეეთერით გადაიცა მისი გამოკვლევა ერეკლე მეფის სატახტო ქალაქ თელავზე და მისი მეფობის დროინდელ მოვლენებზე, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.*

*ბატონი ვალერიანი საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების წევრია.*

*ქართული მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი კახეთის რეგიონში. სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება ბატონი ვალერიან ელანიძე.*

# რატომ ვასხვისებთ ქართულ მიწა-წყალს?



ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია ფიგურირებს პოეტის ცნობილი ფრაზა: „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“... რაც იმას ნიშნავს, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველომ დამპყრობელთა შემოსევების შედეგად, სხვა უამრავ დანაკარგთან ერთად, ტერიტორიებიც დაკარგა. მაგალითად, როდესაც დავით აღმაშენებელმა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ამიერკავკასია თურქ-სელჯუკებისაგან გაწმინდა და ძლიერი ქართული სახელმწიფო შექმნა, მაშინ ჩვენი ქვეყანა შვიდი სამეფოსგან შედგებოდა, რაც კარგად არის ჩამოყალიბებული დავით აღმაშენებლის ტიტულატურაში: „მეფე აფხაზთა, მეფე ქართველთა, მეფე კახთა, მეფე რანთა, სომეხთა, შახანშა და შარვანშახთა“.

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნულ საზღვრებში, მისმა შთამომავლობამ კარგა ხანს შეინარჩუნა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ... თემურ ლენგის რვაგზის შემოსევამ, ირანისა და თურქეთის განუწყვეტელმა თავდასხმებმა და კიდევ სხვა მრავალმა საგარეო გართულებამ, საქართველოს ტერიტორიული შემცირება გამოიწვია. ეს პროცესი კი საბჭოთა რუსეთის ჩამოყალიბების დროს იმით დამთავრდა, რომ ლენინის რუსეთმა აზერბაიჯანს მისცა კახეთის აღმოსავლეთით უმდიდრესი მიწა-წყალი, რომელიც დღეს ცნობილია ბელაქნის, კახისა და ზაქათალის რაიონების სახელწოდებებით, ანუ ჰერეთი.

შემდეგ დამოუკიდებელმა საქართველომ ხელისუფალთა უნიათობითა და გამყიდველობით დაკარგა აფხაზეთი და ქართლის, ცხინვალის რეგიონი, რომელიც დღეს რუსეთს აქვს დაპყრობილი.

თავისუფალმა საქართველომ იმის ნაცვლად, რომ წინაპართა მსგავსად მიეხედა მტერთა შემოსევებით გატანჯული ქვეყნისთვის, დაიწყო უცხოელთათვის მიწა-წყლის მიყიდვის ანტიეროვნული, ყოვლად დასაგმობი საქმიანობა. პრესით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, ჩვენთვის თანდათან ცნობილი ხდება, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, თვით სააკაშვილის ნება-სურვილით, საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის დარჩენილი, რომ იქ უცხოტომელებისთვის არ იყოს მიყიდული ასეული ჰექტარი მიწა, ყველაზე მნიშვნელოვანი, მოსავლიანი, ბარაქიანი ადგილები — თანაც ჩალის ფასად.

ხალხი აღშფოთებულია ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის მიწა-წყლის გასხვისებით ჩინელებზე, ინდოელებზე, არაბებზე, ირანელებზე, თურქებზე და სხვ.

**— ბატონო ვალერიან, როგორც ცნობილი გახდა, კახეთში, სახელდობრ თელავის რაიონის სოფლების სანიორის, ჯუღაანის დასავლეთით, სოფელ ფშაველთან მიმდებარე ჭიკავის ხეობის აღმოსავლეთით შენდება ეგრეთ წოდებული არაბული სოფელი, დაახლოებით 700-800 არაბული ოჯახისთვის და უკვე 6 ორსართულიანი შენობაა წამომართული და მთელ ტერიტორიაზე გამალებული მშენებლობა გრძელდება... რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

— ჩემი დამოკიდებულება ამ ფაქტთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ყველა პატრიოტი ქართველის მსგავსად, არის აღმაშფოთებელი. მიწების უცხოელებზე გაყიდვა ყოვლად დაუშვებელია.

ჩვენ, თანამედროვენი, შორს ვართ იმისგან, რომ დღევანდელ არაბებს, რომლებიც კახეთში მკვიდრდებიან და ვინ იცის, სხვაგანაც, დამპყრობლური პოლიტიკა ამოძრავებთ, მაგრამ ისინი გარკვეული დროით ფიქრობენ ჩვენი მიწა-წყლით სარგებლობას, რისთვისაც სოლიდურ თანხას იხდიან...

**— რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ბოლო მოეღოს ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველ ამ პოლიტიკას?**

— საქართველოს მრავალჯერ დასდგომია ყოფნა-არყოფნის ჟამი, პლანეტაზე არ მოიძებნება სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელსაც იმდენი დამპყრობელი შემოსეოდეს, რამდენიც ჩვენ.

როცა მტრის შემოსევების შედეგად საქართველო აღმოჩნდებოდა სრული კატასტროფის ზღურბლთან, ქვეყანას ბედად გამოუჩნდებოდა ხოლმე ძლიერი წინამძღოლები, მეფე-მხედართმთავრები, რომელთა წინამძღოლობითაც საქართველო ახერხებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, დანგრეულის აღდგენას, აღმშენებლობას.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებმა თავისი ბრწყინვალე შედეგით ბოლო მოუღო სააკაშვილის დამღუპველ მმართველობას და სათავეში მოვიდა ხალხის ნანატრი, ქვეყნის გადამრჩენი „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ქველმოქმედი და მეცენატი ბიძინა ივანიშვილი.

ეს მოვლენა არის განმეორება საქართველოს ისტორიაში მომხდარი ქვეყნის გადამრჩენი მაგალითებისა.

ბატონ ბიძინას ვთხოვთ, არ დაიშუროს ძალ-ღონე და ქვეყანა, რაც შეიძლება მალე გაათავისუფლოს დამღუპველი წყლულებისაგან. სახელდობრ, საქართველოს ტყეების უცხოელთათვის მიყიდვისგან (უმოწყალოდ რომ ჭრიან, ჩეხავენ, ანადგურებენ და საზღვარგარეთ მიაქვთ ეს ჩვენი სიმდიდრე), ასევე სასწრაფოდ შეაჩეროს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ყოველი გოჯი მიწის არაქართველთათვის გაჩუქება-გასხვისება.

* * *

ამ მტკივნეულ თემასთან დაკავშირებით შევხვდით და ვესაუბრეთ სანიორელი და ჯუღაანელი მოსახლეობის წარმომადგენლებს: სანიორის გამგებელს მალხაზ ჭაღარაშვილს, აგრეთვე რამინ მელიქიშვილს, გია ფირალიშვილს, დათო ბიტიაშვილს, ნელი ქოჩიშვილს და სხვებს.

— 2011 წელს ასეთი ინფორმაცია გავრცელდა: მიწები, რომელსაც წლების განმავლობაში იჯარით ვფლობდით, ჩამოგვართვა ძველმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და მიწა იჯარით გადასცა ქუვეითელ არაბ შეიხს, ვითომდა ტურისტული ცენტრის ასაშენებლად, აქაურთა დასასაქმებლად, დროდადრო, სეზონურად, ტურისტების თუშეთში გადასაადგილებლად. ამ მშენებლობას ხელმძღვანელობდა ლალისყურელი გელა ჭვრიტიძე, რომელიც თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს. ახლა კი ამ საქმეს სხვა უძღვება.

ჩვენ ისედაც მცირე მიწები გვაქვს და უცხოელთა ჩაჩხირვაღა გვინდოდა? სხვათა შორის, კახეთში გახშირდა მიწის გაყიდვის მაგალითები. ამბობენ, დედოფლისწყაროს რაიონის მიწები ჩინელებზე გაიყიდაო. რატომღაც, უცხოელები უმთავრესად კახეთის მიწების ყიდვას ცდილობენ...

ამ ჩვენს მცირემიწიან ქვეყანაში, სადაც ხალხს საკმარისი მიწის ნაკვეთები არა აქვს, რატომ უნდა ფლობდეს უცხოელი მიწას? რა ტერიტორიებიც ჩვენ გვეკუთვნოდა, მოვითხოვთ საკუთრებაში დაბრუნებას. არ დავთმობთ ერთ მტკაველ მიწასაც კი...

* * *

მართლაც როგორი ტრაგედიაა: ამდენი დროის შემდეგ, მტრის ახალი და შეფარული ურდო მოევლინა ჩვენს ქვეყანას.

ამ პრობლემის გარშემო კომენტარი ვთხოვეთ **ზურაბ ყურაშვილს** — თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს:

— მე ახალი მოსული ვარ ამ თანამდებობაზე. სანიორელების, ჯუღაანელების და სხვათა მიწების ეს გასხვისება დანაშაულად მიმაჩნია. რამდენად სწორად არის ხელშეკრულება გაფორმებული არაბ შეიხზე, ამას ვსწავლობთ.

**მზად ვართ, არც ერთი მტკაველი მიწა არ გავასხვისოთ უცხოელებზე!**

ვნახოთ, რა იქნება და როგორ გადაწყდება ეს სახელმწიფოებრივი პრობლემა.

ესაუბრა
**იზა ჯაჭვაძე**

სად წაიყვან სადაურსა...

# ალექსანდრე ქართველი (ქართველიშვილი),

## 1896–1974

**ამერიკელი ავიაკონსტრუქტორი, ამერიკული ავიაციის ერთ-ერთი პიონერი. დაიბადა ქ. თბილისში, სადაც 1914 წელს დაამთავრა საარტილერიო სასწავლებელი. პირველი მსოფლიო ომის დროს არტილერიაში მსახურობდა და მაშინ დაინტერესდა... ავიაციით.**



1919-ში საფრანგეთში გაემგზავრა სასწავლებლად და სამშობლოში აღარც დაბრუნებულა. 1922 წელს დაასრულა საფრანგეთის უმაღლესი საავიაციო სკოლა. ერთხანს მფრინავ-გამომცდელად მუშაობდა ლუი ბერიოს ცნობილ ფირმაში, თუმცა, ფრენისას შემთხვეული ტრავმების მიზეზით მფრინავის კარიერაზე უარის თქმა მოუწია. მონაწილეობდა საჰაერო ხომალდების „Bernard“-ისა და „Ferbois“-ის შექმნაში. 1924-ში მისი მონაწილეობით კონსტრუირებულმა თვითმფრინავმა სიჩქარის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ამერიკელმა მილიონერმა ჩარლ ლევაინმა 1927 წელს ა. ქართველი მიიწვია ნიუ-იორკში, სადაც მსახურობდა კომპანიაში „Fokker Amerikan“. 1931-ში ამერიკელმა ავიაკონსტრუქტორმა ალექსანდრე სევერსკიმ თავის კომპანიაში გადაიყვანა მთავარ ინჟინრად. მსოფლიო ომის წლებში შექმნა ავიაგამანადგურებელი „P-47 Thunderbolt“, რომელსაც იყენებდნენ აშშ-ისა და იმისი მოკავშირეების სამხედრო-საჰაერო ძალები. ომის შემდეგ ის გახლდათ თვითმფრინავების „F-84 Thunderjat“ და „F-1057 Thunderchief“ კონსტრუქტორი.

ალექსანდრე ქართველი ნიუ-იორკში გარდაიცვალა.

მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

ინფორმაცია

## ფოთის პორტში უვარგისი კამეჩის ხორცი დააკავეს

**ფოთის პორტის საბაჟოზე ინდური კამეჩის ხორცით დატვირთული კონტეინერები დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, ფოთის პორტის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, ინდოეთიდან საქართველოში 56 000 კილოგრამი კამეჩის გაყინული ხორცით დატვირთული კონტეინერი შემოვიდა.**



**შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტის ფოთის პორტის ვეტერინარების მიერ განხორციელებული ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების შედეგად დადგინდა, რომ გაყინული კამეჩის ხორცი საქართველოს იმპორტის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.**

**საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების თანახმად, სანებართვო, ასევე ტრანსპორტირებისთვის დადგენილი სავალდებულო პირობების დარღვევის გამო, მავნებელი სურსათი ექსპორტიორ ქვეყანაში დაბრუნებას ექვემდებარება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მსოფლიო ველომოგზაური**

# ახალი პროექტი



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ჯუმბერ ლეჟავას ევრაზიული ველოტურის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მუხრან გულაღაშვილი დაესწრნენ.**

9 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გინესის მრავალგზის რეკორდსმენის, მსოფლიო ველომოგზაურის, მსოფლიოს მოქალაქისა და სპორტსმენის, გაეროს ბუნების დაცვის ელჩის, სპორტის დამსახურებული მუშაკის ჯუმბერ ლეჟავას ველოტური „J L & EURASIA" დაიწყება.

იგი ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება (მთლიანობაში 40 000-ზე მეტი ველომოყვარული) და პროექტის მონაწილენი ევრაზიის 30 ქვეყნის 200-მდე ქალაქსა და ათასობით დასახლებულ პუნქტს გაივლიან.

ველოტურის მიზანი მრავალმხრივია – ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ქვეყნებს შორის სპორტული კავშირურთიერთობების განმტკიცება, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან კონტაქტების გაღრმავება.

მომავალი მარათონის მარშრუტი გადის შემდეგ ქვეყნებზე: **საქართველო, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ჩეხეთი, ავსტრია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატეთი, სერბეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ბოსნია, მონტენეგრო, მაკედონია, ალბანეთი, საბერძნეთი და თურქეთი.**

დაგეგმილია შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები აღნიშნული ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების, მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებისა და სფეროების, ასევე სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ახალგაზრდობასთან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ძიუდო**

# ჭაბუკები – ევროპის თასზე

**უკრაინის დედაქალაქში დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც ნორჩმა ქართველმა ფალავნებმა ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 73 კილოში თამაზ კირაკოზაშვილმა გვასახელა – მან ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო იპონით და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ნახევარფინალში დენის სპარტაკი (ისრაელი) დაამარცხა, ფინალში კი ნემანია მაიდოვს (სერბეთი) აჯობა. მიზნის მისაღწევად ერთი მოგება დააკლდა კობა მჭედლიშვილს (66 კგ). მან ოთხი მეტოქე დაჯაბნა, მათ შორის ნახევარფინალში – თანაგუნდელი სიმონ მამარდაშვილი, ხოლო გადამწყვეტი პაექრობა მასპინძელ არტიომ პლიევთან ერთი გაფრთხილებით დათმო. რაც შეეხება მამარდაშვილს, მესამე ადგილისთვის გამართულ ორთაბრძოლაში დან ბურლაკს (მოლდოვა) იპონით სძლია.**



ასევე ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს რობიზონ ბეგლარიშვილმა (50) და ბექა ნათარალიშვილმა (55). რობიზონმა დამამშვიდებელში ოთხი შეხვედრა მოიგო, მათ შორის გადამწყვეტი – აზერბაიჯანელ ელნურ აბასოვთან. ბექამ ერთი ორთაბრძოლით ნაკლები გამართა, ბრინჯაო კი ბელარუს მაქსიმ ლენჩუკს აართვა.

საქართველოს დელეგაციას მეორე ვერცხლის მედალი ანთალიის ტურნირის გამარჯვებულმა მარიამ ჯანაშვილმა (52) მოუტანა, არადა, იგი კიევშიც ახლოს იყო მიზანთან – მასპინძელ იულია ხრამოვასთან ფინალურ პაექრობას ვაზარით იგებდა, თუმცა უპირატესობის გონგამდე შენარჩუნება ვერ შეძლო და იპონით წააგო.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: თამაზ კირაკოზაშვილისა (თეთრი კიმონოთი) და ნემანია მაიდოვის ფინალური შეხვედრის მომენტი.**

**კრივი**

# 2 მედალი უკრაინიდან

**ხერსონში მსოფლიოს კრივის ასოციაციის (AIBA) ეგიდით A-კლასის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა 11 ქვეყნის მოკრივეებმა მიიღეს. შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრების წევრებიც გამოვიდნენ და 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.**

მეგობარი ქვეყნის რინგზე გამართულ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბონდო მამულაშვილმა 7 მოკრივე იახლა, მედლები კი დავით ნანავამ (49 კგ) და რომან თავაძემ (81 კგ) მოიპოვეს.

ვერცხლის მედალი ნანავამ, ხოლო ბრინჯაო თავაძემ მოიგო.

ეროვნული გუნდი მომზადებას გააგრძელებს და ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე მოსამზადებელ შეკრებას გაივლის, ევროპირველობა კი, რომელსაც ბელარუსის დედაქალაქი მინსკი უმასპინძლებს, 30 მაისს დაიწყება.

**მანუჩარ გიორგაძე**



**მეკლდეურობა**

# სამდღიანი ფორუმის შედეგები

**ამ დღეებში საქართველოს მეკლდეურთა ფედერაციის ორგანიზებით რამდენიმე ტურნირი გაიმართა. ჯერ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შენობაში მდებარე ხელოვნურ კედელზე ირაკლი გელდიაშვილის ტრადიციული მემორიალური ტურნირი ჩატარდა, ხოლო შემდეგ მოზარდმა მეკლდეურებმა ძალები 14-წლამდელთა ფესტივალზე მოსინჯეს.**

ტურნირებში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლებმა მიიღეს – თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, სტეფანწმინდიდან, მესტიიდან, ლენტეხიდან.



აღსანიშნავია, რომ ირაკლი გელდიაშვილის ხსოვნის ტურნირი მისი დაბადების 65 წლისთავს მიეძღვნა. დასასრულს ასპარეზობა გაიმართა მედიის წარმომადგენელთა შორისაც, რომელსაც „კლუბმა 71"-მა უმასპინძლა.

**ი. გელდიაშვილის მემორიალური ტურნირი.**

**რთული ცოცვა (ვაჟები).**

1. გიორგი გაბულდანი (თბილისი), 2. გუგა დაბრუნდაშვილი (თბილისი), 3. ლაშა მითაიშვილი (თბილისი).

**რთული ცოცვა (გოგონები).**

1. თამარ მელაძე (თბილისი), 2. ფატი იოსელიანი (მესტია), 3. სალომე მეშველიანი (ლენტეხი).

**სწრაფი ცოცვა (ვაჟები).**

1. გიგა ჯანხოთელი (ლენტეხი), 2. გიორგი გომიაშვილი (ყაზბეგი), 3. გუგა დაბრუნდაშვილი (თბილისი).

**სწრაფი ცოცვა (გოგონები).**

1. მარიანა იოსელიანი (მესტია), 2. ანა შაქარაშვილი (თბილისი), 3. მელანო გუჯეჯიანი (მესტია).

**14-წლამდელთა ფესტივალი.**

**ვაჟები (2000-2001 წ. დაბ.),**

1. ნიკა ჩხაბერიძე (თბილისი), 2. ნიკა იოსელიანი (მესტია), 3. ლევან გველებიანი (თბილისი).

**გოგონები (2000-2001 წ. დაბ.).**

1. ნინო ალიბეგაშვილი (ყაზბეგი), 2. სალომე მარგიანი (მესტია), 3. ნინო ძნელაძე (ბათუმი).

**ვაჟები (2002-2003 წ. დაბ.).**

1. არჩილ უგულავა (თბილისი), 2. დავით მუშკუდიანი (თბილისი), 3. ანდრო ზურაბიანი (თბილისი).

**გოგონები (2002-2003 წ. დაბ.).**

1. ნიცა თვაური (თბილისი), 2. მარი გველებიანი (თბილისი), მარი ლიპარტელიანი (თბილისი).

**ბეჟან დოლიძე**

**წყალბურთი**

# „ოლიმპიკში" დღეს დაიწყება

**ბებერი კონტინენტის 17 ქვეყნის ნაკრები გუნდები იასპარეზებენ წყალბურთელთა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, რომელიც დღეს დაიწყება.**



A **ჯგუფში ითამაშებენ:** საქართველო, დიდი ბრიტანეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი და ჩეხეთი. B **ჯგუფი:** საფრანგეთი, სლოვენია, უკრაინა, შვეიცარია, ბელარუსი, მოლდოვა. C **ჯგუფი:** მალტა, რუსეთი, პორტუგალია, ისრაელი, ბულგარეთი, დანია.

A **ჯგუფის** პირველ ტურს თბილისის „ოლიმპიკის" აუზი მასპინძლობს. შეხვედრათა განრიგი ასეთია: **4 აპრილი.** სლოვაკეთი – პოლონეთი (17. 00 სთ), საქართველო – დიდი ბრიტანეთი (18.30); **5 აპრილი.** ჩეხეთი – სლოვაკეთი (10.00), პოლონეთი – ბრიტანეთი (11.30), საქართველო – სლოვაკეთი (18.30), ჩეხეთი – პოლონეთი (20.00); **6 აპრილი.** ბრიტანეთი – ჩეხეთი (17.00), საქართველო – პოლონეთი (18.30); **7 აპრილი.** ბრიტანეთი – სლოვაკეთი (11.00), საქართველო – ჩეხეთი (12.30).

**ლაშა დიდია**

**ფეხბურთი**

# ესაა კრიზისი?

**„ბარსელონა" კრიზისშიაო, უკვე ისმოდა საფეხბურთო სამყაროში.**

**ამ მოსაზრების განსამტკიცებლად ექსპერტებს კატალონიელთა წლევანდელი მონაგარი მოჰყავდათ: 11 მოგება, 4 ფრე და 4 წაგება.**

თავისთავად, ასეთი ნადავლი ძნელია რეგრესად შეფასდეს, მაგრამ რადგან უმაღლესი თამასის მოიერიშე ისეთ ტოპ-კლუბზე ვსაუბრობთ, როგორიც მესი და კამპანიაა, შეგვიძლია ზემოთ გამოთქმული პესიმისტური განაჩენი, გარკვეულწილად, საფუძვლიანად მივიჩნიოთ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბროწეულისფერებს" სეზონის დიდი ნაწილის წარმართვა ყელის კიბოსთან შებმული მთავარი მწვრთნელის ტიტო ვილანოვას გარეშე უწევდათ.

მეორე მხრივ იბადება კითხვა: თუ მძიმე დღეები უდგას, როგორ უწია უმთავრესმა ფავორიტმა პრიმერადივიზიონის ფინიშს 13-ქულიანი ჰანდიკაპით ან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს?

მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ არც ისე წვიმს, როგორც ქუხს, რაც პარიზშიც დადასტურდა.

**„პარი სენ-ჟერმენი" – „ბარსელონა" 2:2 (0:1).**

**გოლები:** იბრაჰიმოვიჩი, მატიუიდი; მესი, ხავი (პენალტით).

**„ბაიერნი" – „იუვენტუსი" 2:0 (1:0).**

**გოლები:** ალაბა, მიულერი.

**გიორგი შოთაძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**გამოღმით შერჩენის მოსურნე**

# ირმამ თხარა, თხარაო და...



**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დეპუტატ ირმა ნადირაშვილის საქმიანობის სამართლებრივი შეფასების მიზნით მთავარ პროკურატურას მიმართავს.**

**როგორც სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მაგდა პოპიაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ირმა ნადირაშვილი ერთდროულად რამდენიმე შეუთავსებელ თანამდებობას იკავებდა.**

— საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის დავით ტყეშელაშვილის 2009 წლის 16 თებერვლის №36/კ ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 30-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წერილობითი განცხადების საფუძველზე, ირმა ნადირაშვილი დაინიშნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მინისტრის აპარატის (დეპარტამენტი), მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე. სამინისტროს საშტატო განრიგის შესაბამისად, მისი თანამდებობრივი სარგო განსაზღვრული იყო 1900 ლარით. ამავე მინისტრის 2010 წლის 22 აპრილის №48/კ ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, ირმა ნადირაშვილი გათავისუფლდა ზემოაღნიშნული თანამდებობიდან წერილობითი განცხადების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნიდან გათავისუფლებამდე პერიოდში, მის მიერ თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად, მიღებულმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 28500 ლარი, ხოლო პრემიის სახით მიღებულმა შემოსავალმა — 22060 ლარი. ჯამში 50560 ლარი.

საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებული საქართველოს პარლამენტის წევრის ირმა ნადირაშვილის საკონტაქტო ინფორმაციის გრაფაში — „სამუშაო გამოცდილება“ — მითითებულია, რომ ირმა ნადირაშვილი 2008-2009 წლებში მუშაობდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ში პროგრამა „პოსტ-სკრიპტუმის“ მთავარ პროდიუსერად, ხოლო 2009-2010 წლებში ამავე კომპანიის საინფორმაციო სამსახურის უფროსად. კონკრეტულ თანამდებობაზე მუშაობის თვეები და რიცხვები მითითებული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2009-2010 წლებში, სახელმწიფო სამსახურის პარალელურად, ირმა ნადირაშვილს შეთავსებით ეკავა, აგრეთვე, სხვა თანამდებობა და ეწეოდა სხვა ანაზღაურებად საქმიანობას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო სამსახურში მუშაობის პერიოდში, მის მიერ დაკავებული თანამდებობის გათვალისწინებით, ირმა ნადირაშვილი იყო სახელმწიფო მოსამსახურე — მოხელე. ამავე კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **„სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში“.**

ამავე კანონის 73[2] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურემ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, დაიცვას ის მოთხოვნები, რომლებიც მას და მის თანამდებობას შეეხება. ამავე კანონის 73[4] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ არსებულ თუ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე, მიიღოს ზომები ნებისმიერი ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევის დაუშვებლობისთვის, განაცხადოს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნამდე ან დანიშვნის შემდეგ, როგორც კი ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გახდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციასა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ირმა ნადირაშვილის პირად საქმეში არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დასაბუთებულად ვივარაუდოთ, რომ ირმა ნადირაშვილი, 2009 წლის 16 თებერვლიდან 2010 წლის 22 აპრილის ჩათვლით იკავებდა სახელმწიფო სამსახურში სახელმწიფო მოსამსახურის — მოხელის თანამდებობას და იმავდროულად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნულ ნორმათა დარღვევით, ეკავა სხვა თანამდებობა და ასრულებდა ანაზღაურებად საქმიანობას ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში, — განაცხადა მაგდა პოპიაშვილმა და აღნიშნა, რომ ფაქტის სამართლებრივი შეფასების მიზნით, შესაბამისი მასალები საქართველოს მთავარ პროკურატურას წარედგინება.

**ინტერპრესი**

**ჩვენი კარაბადინი**

# კვირის ხუთი შეკითხვა

## 1. უბედურებანი დიაბეტისგან

**დიაბეტის რომელი ტიპია უფრო სახიფათო? მათგან რომლის დროს ხდება მეტი გართულებები?**

**თეო მაღლაფერიძე, კასპი**

**გვიპასუხებს ექიმი-ენდოკრინოლოგი ევგენი სირაძე:**



— დიაბეტის ერთ ფორმასაც და მეორესაც მრავალრიცხოვან გართულებამდე მივყავართ. სისხლძარღვთა დაზიანების შედეგად ხშირად ზიანდება თვალის ბადურა (არსებობს მხედველობის სრული დაკარგვის რისკიც). ასევე ხშირად ვითარდება გულის იშემიური დაავადება და თირკმელების მძიმე დაზიანება. ამას გარდა, დიაბეტისგან ზიანდება საჭმლის მომნელებელი ორგანოები, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემები. ირღვევა სისხლის მიმოქცევა და იკარგება მგრძნოებლობა ფეხებსა და ტერფებში (საქმე შეიძლება ამპუტაციამდეც მივიდეს). თუმცა, სენის ყველაზე საშიში გართულება — ესაა დიაბეტური კომა, საიდან გამოსვლასაც ყველა ვერ ახერხებს. მაგრამ თუ ვიმუშავებთ პროფილაქტიკაზე ან ვიმკურნალებთ სწორად და, უწინარეს ყოვლისა, რეგულარულ კონტროლს გავუწევთ სისხლში შაქრის დონეს, ვიკვებებით სწორად, ვიცხოვრებთ ცხოვრების აქტიური წესით, ყველა ამ საშინელ გართულებას შეიძლება დავაღწიოთ თავი.

## 2. გასაღები ყოველგვარი ყაბზობისგან

**ხშირად მაწუხებს კუჭის შეკრულობა. როგორ ვიკვებო, რომ აღარ მქონდეს პრობლემები კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებით?**

**გ.ბადრიძე, სიღნაღი**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-გასტროენტეროლოგი თათია სიხარულიძე:**

— უნდა ვიკვებებოდეთ რეგულარულად, იდეალურია — ერთსა და იმავე დროს და სულ ცოტა 4-ჯერ დღეში. მთავარია, დავიცვათ კვების რეჟიმი, ვსვათ სულ ცოტა 1,5-2 ლიტრი სითხე დღე-ღამეში. თქვენი რაციონის არანაკლებ 60 პროცენტს უნდა შეადგენდეს უჯრედებით მდიდარი ბოსტნეული და ხილი. ასევე მეტად მნიშვნელოვანია სწორად შევუხამოთ ერთმანეთს პროდუქტები: მაგალითად, ხორცი ვჭამოთ ბოსტნეულის სალათთან და არა კარტოფილთან ან მაკარონთან ერთად. ნებისმიერი გამაღიზიანებელი საკვები (ცხარე, ცხიმიანი, მლაშე, შებოლილი) კუჭ-ნაწლავს არ უხდება, ამიტომ იგი უფრო დღესასწაულებისთვის გადავდოთ. პურ-ფუნთუშეული ნაწარმი, განსაკუთრებით ნაზუქეული, უმჯობესია, მეტად იშვიათად მივიღოთ. პერისტალტიკის სტიმულირებისთვის გამოგვადგება შავი ქლიავი, ლეღვის ჩირი, ჭარხალი და სხვა პროდუქტები. შეიძლება გამოვიყენოთ სელის თესლის ზეთი — თითო ჩაის კოვზი დღეში.

## 3. ზურგი გტკივათ? უნდა გაერკვეთ!

**ხშირად მტკივა ზურგი. ამ მიდამოში ტკივილები ყოველთვის მიუთითებს ხერხემლის თიაქარზე ან იქნებ სხვა მიზეზებია?**

**ბეჟან უჩანეიშვილი, სამტრედია**

**გვიპასუხებს ნეიროქირურგი ანდრო თავართქილაძე:**

— ზურგი შეიძლება გვტკიოდეს არა მხოლოდ თიაქარის წარმოქმნის მიზეზით. არის კიდევ ათობით სხვა პათოლოგია, რომლებსაც მსგავსი კლინიკური სურათი აქვთ და მათი გამორკვევა შეუძლია მხოლოდ კვალიფიციურ ექიმს. სასწრაფოდ უნდა მივმართოთ ექიმს, თუ ტკივილი ზურგში:

- **დღითი დღე კი არ იკლებს, არამედ იზრდება;**
- **მას თან ახლავს სხეულის ტემპერატურის აწევა;**
- **თან ახლავს წონის დაკლება;**
- **ტკივილი გადადის ხელზე ან ფეხზე, განსაკუთრებით ორივე ფეხზე (კიდევ უფრო უარესია, თუ ვითარდება სისუსტე კიდურებში, მოდუნების გრძნობა სასქესო ორგანოებში, შარდის ფუნქციების დარღვევა).**

ყველა ამ სიტუაციაში ავადმყოფებს, როგორც წესი, დაუყოვნებლივ ქირურგიული ოპერაცია ესაჭიროებათ. პირველ ორ შემთხვევაში, ალბათ, მოუწევთ საქმე იქონიონ ანთებით პროცესთან ხერხემალში (სპონდილიტი, ხერხემლის ტუბერკულოზი და ა.შ.). სხეულის მასის შემცირება შეიძლება რომელიღაც ონკოლოგიურ დაავადებაზე (ხშირად ასე ჩნდება ფილტვების სიმსივნე, ქალებთან სარძევე ჯირკვლის და კაცებთან წინამდებარე ჯირკვლის დაზიანება) მეტყველებდეს. უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც ტკივილი კიდურებზე გადადის, პრობლემა ვითარდება ყველაზე მეტად იმის გამო, რომ ხერხემალშორისი თიაქარი მიაწვა ნერვის ძირს ან მილს, რომელიც ხერხემლის ამა თუ იმ განყოფილებაშია, რამაც გამოიწვია ინერვაციის დარღვევა და, შესაბამისად, ახლომდებარე ორგანოების მუშაობის გაუარესება. ასეთ სიტუაციაში მხოლოდ დროულმა ოპერაციამ (იდეალურად — გართულების განვითარების პირველი 6 საათის განმავლობაში) შეიძლება დაგვიცვას შეუქცევადი შედეგებისგან.

## 4. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას ახალგაზრდობიდანვე

**რომელ ასაკშია ყველაზე უკეთესი დაავადებათა პროფილაქტიკისთვის ზრუნვა?**

**სერგო ფეიქრიშვილი, ზესტაფონი**

**გვიპასუხებს ექიმი-გერონტოლოგი ზეინაბ თხელიძე:**

— ჯანმრთელობისთვის ზრუნვა უნდა დავიწყოთ არა პენსიაზე გასვლის შემდეგ, არამედ სულ ცოტა ოცი წლით ადრე ამ მოვლენამდე: თვალყური ვადევნოთ კვებას, მივდიოთ სპორტს, არ მოვწიოთ, დროულად გავიაროთ დიაგნოსტიკური პროცედურები.

წლებთან ერთად კი აუცილებელია არ დავიშუროთ ძალისხმევა ორგანიზმის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის. მაგალითად, ყველა ხანდაზმული ადამიანისთვის რეკომენდებულია მიიღოს ხარისხიანი ვიტამინურ-მინერალური კომპლექსები, უმჯობესია ჟელატინის კაფსულებში, რომ ისინი იოლად იქნენ ათვისებული (ვინაიდან ასაკთან ერთად საკვების გადამუშავება ნელდება). ხანდაზმული ადამიანებისთვის ყველაზე დეფიციტურია B ჯგუფის ვიტამინები. ასაკში ადამიანებს აკლიათ A, B და C ვიტამინები — ანტიოქსიდანტები და კოენზიმი Q10. ეს ნივთიერებანი აუმჯობესებენ იმუნიტეტს, სასარგებლოა კიბოს, კატარაქტისა და გლაუკომის პროფილაქტიკისთვის. კოენზიმი Q10 კი აუცილებელია გულისთვის.

## 5. ოთხშაბათს უმჯობესია გამოვიძინოთ!



**მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ქალები ყველაზე უარესად გამოიყურებიან 15 საათსა და 30 წუთზე. კვირის რომელ დღეს ვართ ჩვენ ყველაზე ულამაზონი და როგორ დავიბრუნოთ ფორმა უფრო სწრაფად!**

**ქ.სიხარულიძე, ონი**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი იუზა ჭანტურია:**

— ქრონობიოლოგებს ყველაზე „ულამაზო“ დღედ ოთხშაბათი მიაჩნიათ. სწორედ ოთხშაბათს აღწევს თავის მაქსიმუმს სამუშაო სტრესი, სახეზე კი აისახება გამოუძინებლობისა და ზედმეტი მუშაობის შედეგები. ჩვენი სპეციალისტების დაკვირვებით კი ადამიანები ყველაზე უარესად პარასკევს გამოიყურებიან — კვირის ამ დღეს კოსმეტიკურ პროდუქტებზე ყველაზე მეტი მოთხოვნილებაა.

სილამაზის დაბრუნების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა — სადილისშემდგომი ძილი. ეტყობა, არამიმზიდველი შეხედულება 15 საათსა და 30 წუთზე — ეს სწორედ არის ორგანიზმის სასჯელი გამოტოვებული სიესტის (ზოგიერთ ქვეყანაში შუადღის დასვენება) გამო. გასაგებია, რომ არც ოფისში, არც წარმოებაში წათვლემა არ გამოვა. ამიტომ უბრალოდ მოეშვით და წამოჯექით სამუშაო ადგილზე დახუჭული თვალებით თუნდაც 15 წუთით.

**ინფორმაცია**

## პოლიკლინიკის მიზანმიმართული ლიკვიდაცია

**ბენაშვილის ქუჩა №3- ში მდებარე ბავშვთა მე-16 პოლიკლინიკის ექიმი რუსუდან ბეზარაშვილი მთავარ ექიმს დავით იოსელიანს კლინიკის ხელოვნურად ლიკვიდაციაში ადანაშაულებს.**

**როგორც რუსუდან ბეზარაშვილმა განაცხადა, 2011 წელს დედაქალაქის მერიამ შპს აუქციონზე გაიტანა, მაგრამ შენობა ვერ გაიყიდა. მისი თქმით, კოლექტივმა ერთობლივი ძალებით შპს შეისყიდა, რომელიც 16 ათასი ლარი დაუჯდათ.**

**— ჩვენ ვენდეთ მთავარ ექიმს და შპს გავაფორმეთ მის სახელზე. კოლექტივიდან სამმა ადამიანმა დადო ათასი ლარი დანარჩენებმა 723 ლარი. ახლა კი აცხადებს, რომ ჩვენ მისთვის ფული არ მიგვიცია, — აღნიშნავს ბეზარაშვილი.**

**მისივე შეფასებით, წელიწადნახევრის შემდეგ პოლიკლინიკა ლიკვიდაციაზე მიდის.**

**— კლინიკის მთავარი ექიმი გაურიგდა ჩვენს გვერდით მდებარე საოჯახო მედიცინის ცენტრს, რომელიც მდებარეობს წინამძღვრიშვილის ქუჩაზე და ნელა-ნელა ხდება ბავშვების გადაზიდვა ჩვენი პოლიკლინიკიდან, — აცხადებს ექიმი.**

**რუსუდან ბეზარაშვილის თქმით, პოლიკლინიკაში არის დარღვევები, ასევე სახელფასო დავალიანებაა. ბეზარაშვილი გამოთქვამს ეჭვს, რომ, შესაძლოა, იოსელიანს კლინიკა გაყიდულიც კი ჰქონდეს. მისი თქმით, ექიმები, რომლებიც პოლიკლინიკაში მუშაობენ, უმუშევრები რჩებიან.**

**ინტერპრესი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## მილოცვა



# ნოდარ ემუხვარი 70 წლის გახდა!

„გულების მბრძანებელი“ ექიმი, აკადემიკოსი, პროფესორი და, რაც მთავარია, კაცი, რომელიც ყველას პატრონია, ყველას მოჭირნახულეა, 70 წლის ხდება. როცა პაციენტი მასთან მიდის, უწინარესად მისი პროფესიონალიზმის სჯერა და როდესაც ექიმის გვარს გაიგებს, უკვე დარწმუნებულია, რომ ემუხვარების შთამომავალი არ მიატოვებს, ბოლომდე მისი დამცველი და პატრონი იქნება.

დიდი მადლობა, ბატონო ნოდარ!

დიდი მადლობა გადარჩენილი გულებისთვის, უამრავი დაბრუნებული სიცოცხლისთვის, სიკეთისთვის და სიყვარულისთვის.

**თენგიზ ქავთარაძე**



# ელგუჯა გაბეჩავა – 75

**ჭეშმარიტ** მამულიშვილს, ბუმბერაზ ქართველს, დიდი ოჯახის თავკაცს, ქართული ტრადიციების უბადლო გამგრძელებელს, სატრანსპორტო სისტემის დამსახურებულ მუშაკს, ახალგაზრდობის აღმზრდელს, მეგობრებზე უზომოდ შეყვარებულს, მოჭარბებული იუმორის მქონეს, სიკეთისა და სიყვარულის მთესველს, ნამდვილ მემატიანეს, გამორჩეულ თამადას, შრომისმოყვარეს, დაუღალავ და უბერებელ **ელგუჯა გაბეჩავას** ვულოცავთ 75 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს საყვარელ ოჯახთან ერთად.

უახლოესი მეგობრები

**მამია სულაბერიძე, ავთანდილ ბენდუქიძე, ბიჭიკო მოლოდინი, ვალიკო გოგიშვილი.**

## ტესტი

# თუ ხართ ტრუბადური სულიერად?

**დადგა, როგორც იქნა, სანატრელი გაზაფხული. გაზაფხული კი რომანტიკისა და სიყვარულის დროა. გაიარეთ ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ, განსაზღვროთ, რამდენადაა თქვენთვის დამახასიათებელი რომანტიზმი და პრაგმატიზმი.**

**1. შეძლებდით სიყვარულის გულისთვის უარი გეთქვათ საკარიერო მისწრაფებებზე?**
ა) ალბათ, კი.
ბ) ვფიქრობ, რომ ვერა.
გ) არ ვარ მზად პასუხისთვის.

**2. ჩამოთვლილი ლიტერატურული პერსონაჟებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე სიმპათიური?**
ა) მერი პოპინსი.
ბ) ნაცარქექია.
გ) ცხრათავიანი დევი.

**3. სად დათანხმდებოდით მოგეწყოთ, უწინარეს ყოვლისა, პირველი პაემანი?**
ა) რესტორანში.
ბ) საღამოს ქალაქში სეირნობაზე, ვარსკვლავიანი ცის ქვეშ.
გ) მასთან ბინაზე.

**4. შემოთავაზებული ფრაზებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე მახლობელი?**
ა) „სიყვარული – ეს თამაშია, რომელშიც ყოველთვის თაღლითობენ“.
ბ) „სულები ერთმანეთს შეყვარებულთა ბაგეებზე ხვდებიან“.
გ) „სიყვარულში კარგავენ გონებას, ქორწინებაში კი ამჩნევენ ამ დანაკარგს“.

**5. საყვარელი ადამიანისთვის მზადა ხართ:**
ა) „ხელით მისწვდეთ ვარსკვლავს ცაზე“.
ბ) წახვიდეთ მმაჩის ბიუროში.
გ) წახვიდეთ პურზე და (ან) გამოიტანოთ სახლიდან ნაგავი.

**6. თუ უცვლით ერთმანეთს თქვენ და თქვენი მეორე ნახევარი დღის განმავლობაში ნაზ გზავნილებს ელექტრონული ფოსტით ან მობილური ტელეფონით?**
ა) ხანდახან.
ბ) როგორც წესი, არა.
გ) დიახ, ხშირად.

**7. ოცნებები, თქვენი აზრით, – ესაა...**
ა) ქვიშის სასახლე, რაზეც ზოგჯერ ბევრი ძვირფასი დრო იკარგება.
ბ) ის, რაც მოსვენების საშუალებას არ გაძლევს და გაიძულებს იარო წინ.
გ) უბრალოდ პეპლები, რომელთაგანაც, შეიძლება, ყოველთვის დიდი სარგებელი არ გქონდეს, მაგრამ ისინი ცხოვრებას ნათელს ჰფენენ.

**8. ამ სიმღერებიდან რომლის სიტყვები ეხმიანება თქვენს სულს:**
ა) „იწვის სისხლში ცეცხლი სურვილის“.
ბ) „გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში...“
გ) „სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია“.

**9. შეგეძლოთ შეგყვარებოდათ ადამიანი მხოლოდ მისი ხმის ტემბრის გამო?**
ა) არა, ასეთი რამ ძნელად რომ შეიძლება მოხდეს.
ბ) სავსებით შესაძლებელია.
გ) ასეთი რამ მომხვლია.

**10. გააგრძელეთ ფრაზა: სიყვარული პირველი ნახვით – ესაა...**
ა) მოჩვენება: ყველა მასზე ლაპარაკობს, მაგრამ ცოტა ვინმეს თუ უნახავს იგი.
ბ) ცის ნობათია.
გ) ციება, რომელიც ჰორმონების შფოთმა გამოიწვია.

## დაიანგარიშეთ ქულები ცხრილის გამოყენებით

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 3 | 3 | 2 | 1 | 3 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 |
| ბ | 1 | 2 | 3 | 3 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 3 |
| გ | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 |

**30-24 ქულა**. ვულოცავთ თქვენს საყვარელ ადამიანს, შეიძლება გარკვევით ითქვას, თუ, რასაკვირველია, პასუხები შეკითხვებზე იყო გულწრფელი, რომ თქვენ – რომანტიკული ნატურა ბრძანდებით! თქვენ, უეჭველია, მზადა ხართ დაეთანხმოთ, რომ იმ ადამიანის შეგრძნების სასწაული, რომელიც გიყვართ, დროს არ ემორჩილება, ადამიანთა ბედი კი ცაში ისკვნება, ვინაიდან ბედნიერი ქორწინების წარმატება, უწინარეს ყოვლისა, სიახლოვესა და სულთა შერწყმაშია. რამდენ ხანსაც უნდა გრძელდებოდეს რომანი, თქვენ სავსებით ძალგიძთ თავი დააღწიოთ მოწყენილობას ურთიერთობაში. მთავარია – არ დაიზაროთ!

**23-17 ქულა**. რომანტიზმი თქვენთვის უცხო არაა, მაგრამ პრაგმატიზმიც არის თქვენში, და იგი ხშირად ახშობს გულის ძახილს, რის გამოც ზოგიერთი თქვენი ოცნება განუხორციელებელი რჩება. რომ არ ინანოთ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის გამო, ისწავლეთ ყურადღებით მოუსმინოთ თქვენს გულს და მეტად ენდოთ მას.

**16-10 ქულა**. არ შეიძლება თქვენ გეწოდოთ რომანტიკოსი, თუმცა, არაფერი გიშლით ხელს მალე გახდეთ ასეთი! მოუწყვეთ თქვენს თავსა და თქვენს მეორე ნახევარს პატარა დღესასწაული, მაგალითად, ვახშამი სანთლებით! ხოლო თუ მარტოსული ბრძანდებით, გაიხსენეთ, რომ სწორედ გაზაფხულზე დიდია ახალი მიმზიდველი გაცნობის ალბათობა, იმ პირობით, რომ გამოხვალთ სახლიდან, გახვალთ, ვთქვათ, ბუნებაში იმის ნაცვლად, რომ კვლავ ჩაერთოთ მორიგი სერიალის გმირების სასიყვარულო ვნებებში.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### კახი კალაძის ძმის მოტაცება და მკვლელობა ტარიელ ონიანმა დაგეგმა?

ექსკლუზიური ინტერვიუ: სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის ყოფილი უფროსი, პოლიტპატიმარი ბათალბი (ბათუ) სალინაძე ყვება: „ყველაფერი ფულის გამო მოხდა. როცა კახი კალაძე კიევის „დინამოდან“ „მილანმა“ იყიდა, 15 მილიონი ევრო უნდა გადაეხადათ. აქედან, ხუთი, ადგილზე რჩებოდა, დანარჩენი კი, კალაძესა და ჟორდანიას უნდა გაეყოთ. ამ საქმეში ყოვლისშემძლე ტარიელ ონიანიც ჩაერია და ამ ტრანსფერიდან ქურდულ „ობშიაკში“ 600 ათასი უნდა შესულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ამიტომ ქურდებმა კახის გატაცება დაგეგმეს. გურჩიანმა, თავის ხალხთან ერთად, კახის მიაკითხა, მაგრამ მოულოდნელად კალაძის მამაც მივიდა და გატაცების გეგმა ჩაიშალა. მერე, ასათიანის ჯგუფმა მოახერხა და კალაძის ძმა ლევანი გაიტაცა“.

**„ქართული სიტყვა“**

### ცხინვალი თბილისს დე ფაქტო საზღვრის დემარკაციისკენ მოუწოდებს

„ჩვენ ერთი მეტრითაც არ ვარღვევთ საქართველოს ტერიტორიას. მესამედ ოფიციალურად ვაცხადებ, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით, სამხრეთ ოსეთში შექმნილია საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის დემილიტაციის და დემარკაციის კომისია“, – აცხადებს პოსტკონფლიქტური სიტუაციების დარეგულირებაში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მურატ ჯიოევი და თბილისს დე ფაქტო საზღვრის დემილიტაციაში ერთობლივი მუშაობისკენ მოუწოდებს. ადმინისტრაციული საზღვრის დემარკაცია საჭიროა იმისთვის, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ დაჭერით აღარ იზარალოს. ოსური მხარის ამგვარი არგუმენტი არადამაჯერებლად მიაჩნიათ ქართველ პოლიტოლოგებს.

**„რეზონანსი“**

## ანეკდოტები

**ქმარი ადრე დაბრუნდა სამსახურიდან. მაშინვე აივანზე გავარდა, მერე კარადების კარი გამოაღო, საძინებლის საწოლქვეშ შეიხედა. არავინაა! იმედგაცრუებული ცოლს სწვდა და დაუღრიალა:**

**– სადაა საყვარელი?**

**ცოლი გაჭირვებით დაუსხლტდება ხელიდან და აღშფოთებული უპასუხებს:**

**– რა ვიცი? შენი საყვარელი შენვე მოძებნე!**



* * *

**წამომართეთ კვარცხლბეკი და მასზე აუცილებლად ავა რომელიმე ძეგლი.**

* * *

**– მომილოცავს! ხელადვე ჩანს, რომ უკვე ცოლიანი ხარ! შესანიშნავად დაუთოებული პერანგი გაცვია!**

**– ჰო, ეს პირველია, რაც ცოლმა მასწავლა.**

* * *

**კაცი სექსის შემდეგ წამოხტა და ჩაცმა დაიწყო: უნდა წავიდე, ცოლს დავპირდი, დღეს ადრე დავბრუნდები-მეთქი.**

**– რა თქმა უნდა, საყვარელო, წადი! – ნაღვლიანად უპასუხებს ქალი. – თუმცა, მოიცა, შე ნაძირალა, შენი ცოლი ხომ მე ვარ!!!**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com